საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი 12 თებერვალი 1921 წ.

# ერთობა

ფასი 50 მანეთი

გაზეთის ღირს თვეში 1200 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 50 მანეთი. განცხადების ფასი პეტიტის სტრიქონი 30 მანეთი ... 20 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 1000 მანეთი. ნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება კრილოვის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩაზე № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 18—82

№ 33 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 33

გიორგი ალექსანდრეს ძე წინამძღვარიშვილი მშობლებითურთ აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მისი მეუღლის გაბრიელ რატიშვილის ასულის

**ვერა წინამძღვარიშვილის**

წლის წირვა და ძეგლის კურთხევა დანიშნულია ს. ახალშენში სამშაბათს, 15 თებერვალს. (541—2—1)

ღრმად დამწუხრებულნი და გულდამწვარნი: დიასახლისი და ერინე თომას ძე ნატბელაძეები და დათიკო იოსების ძე ნატბელაძე, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას 6 თებერვალს ღამის 10 საათზე, ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი მათი გამზრდელი სიძე

**სიმონ ლუკას ძე გაბრიჭიძე**

გამოსვენება კვირას, 13 თებერვალს, თავის საკუთარ ბინიდან ვერის დაღმართი, № 21, ქაშვეთის ეკლესიაში; დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. (557—1—1)

ღრმად დამწუხრებული და გულდამწვარი მეუღლე: ... გლახუას ასული, შვილები: ერმოლოზი, კონსტანტინე, იოსებ და მიხეილი, რძალი მარიამ დიმიტრის ასული, სიმამრიშვილები: მალაქია გლახუას ძე ნატბელაძე, დისწულები: მაქსიმე და მარიამ კეკელიძეები, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, 6 თებერვალს, ღამის 10 საათზე, ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**სიმონ ლუკასძე გაბრიჭიძე**

გამოსვენება კვირას, 13 თებერვალს, დილის 10 საათზე თავის საკუთარ ბინიდან, ვერის დაღმართი № 21, ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. (557—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ბიძაშვილები: მარიამი, იოსებ პეტრიაშვილი და სიძე ვანო მეტრეველი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფას

**არჩილ ბესარიონის ძე პეტრიაშვილი**

უდროვოთ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა თფილ. გვარდიის საავათმყოფოში 8 თებერვალს. დაკრძალვა კვირას, 13 თებერვალს, გამოსვენება დილის 10 საათზე გვარდიის საავათმყოფოდან პასკევიჩის ქუჩა (სოლოლაკი). (551—1—1).

ღრმად დამწუხრებულნი ელისაბედ იოსების ასული დადვაძე, დავითი, თევდორე, კოლა, პავლე, ვანო და სოფიო დადვაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი საყვარელი ქმრის, ხოლო მეორენი ძმის, ბიძის და მაზლის დაუვიწყარ

**სპირიდონ პავლეს ძე დადვაძის**

უდროვოთ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 8 თებერვალს. პანაშვიდი შაბათს, 12 თებერვალს, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა კვირას, 13 თებერვალს, დილის 10 საათზე, გამოსვენება ბინიდან არხივის შესახვევი, № 20, წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა—პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (555—1—1)

გულდაწყვეტილი მშობლები: ეკა და გიორგი იოსების ძე გქალავა, ძმა იოსები მეუღლითურთ, თავისი პატარა ოთარით, დიდი მარია და ქეთო აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ სამშაბათს 15 თებერვალს (ძველი სტილით 2-ს) სიონის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი პოლიტეხნიკურ მეორე კურსის სტუდენტის

**ლადო (ვლადიმერ) გიორგის ძე გქალავას**

(სულის მოსახსენებლათ). (558—1—1)

ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანისა ქმრით და ... შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხვალ კვირას 13 თებერვალს

**ევდოკია ალექსანდრეს ასული მოვდოკელის**

და

**მელანია ალექსანდრეს ასული ზუმბულიძის**

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი კალოუბნის ეკლესიაში. წირვის დასაწყისი 10 საათზე. (561—1—1).

ღრმად დამწუხრებულნი სიმონ მიხეილის ძე ქვათაძე, მეუღლე სონია ქიტესას ასული აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, 6 თებერვალს, ღამის 10 საათზე გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი მამიდაშვილის ქმარი

**სიმონ ლუკას ძე გაბრიჭიძე**

გამოსვენება კვირას, 13 თებერვალს, დილის 10 საათზე თავის საკუთარ ბინიდან, ვერის დაღმართი № 21 ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე (557—1—1)

ნადეჟდა სპირიდონის ასული გრიგორაშვილი (ქუთათელაძე) ამით აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს, რომ გარდაცვალების წლის თავზე თავის დაუვიწყარ და საყვარელ ქმრის მფრინავის კაპიტან

**პავლე ათანასეს ძე გრიგორაშვილის**

პანაშვიდი იქნება გადახდილი სასაფლაოზე დიდუბის ეკლესიაში კვირას, 13 თებერვალს, დღის 12 საათზე. (559—1—1)

## რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა ახდენს რესპუბლიკაში

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა და ომში დაღუპულ მეომართა ობლების ხრუნვაზე აღწერას რისთვისაც საჭიროა

## ინსტრუქტორები

ყველა მაზრებისათვის, გარდა ზუგდიდისა. ჯამაგირი მიეცემათ თვიურათ 40,000 მან. წარმოდგენილ უნდა იქნას საიმედოების საბუთები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან. ინსტრუქტორი უნდა იყოს იმ მაზრის მცხოვრები, რომელშიაც ის მუშაობას იკისრებს. ცნობების მიღება სწარმოებს კავშირის ბინაზე ყოველ დღე ქ. თფილისში, პლეხანოვის პრ. № 139, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ.

(ნ. 14—10) გამგეობა.

## განცხადება

### ვაცხადებთ ბითუმათ და ნაჭრობით ყველა მოვაჭრეთა საყურადღებოთ

რომ რამოდენიმე დღის შემდეგ ერთი უდიდესი იტალიური ფირმა

## ასკარელლი და კომპ.

ხსნის ქ. თფილისში (ადგილი შემდეგ განცხადებაში იქნება ნაჩვენები)

### მანუფაქტურით დიდ ვაჭრობას,

### სადაც შეიძლება მატყლეულის, ბითეულობის და მაუდის შერჩევა.

მატერიები არის უმაღლესი ხარისხისა საუკეთესოთ და ლამაზათ ნაწარმოები.

შემდეგ განცხადებაში იქნება აგრეთვე აღნიშნული თუ რა დღეებში იწარმოებს ნაჭრობით ვაჭრობა.

## განცხადება.

## მომარაგების სამინისტრო

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვისაც სურს ჩამოიტანოს ხორბლეულობა სიღნაღის და თელავის მაზრებიდან, მიეცემა ნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოსატან ხორბლეულობის რაოდენობის ნახევარს მიჰყიდის მომარაგების სამინისტროს განსაზღვრულ ფასებში. ხორბლეულობის გამოტანა შეიძლება არა ნაკლებ 20 ფუთისა გამოსატან ხორბლეულობის ნახევარს მიიღებს სამინისტროს რწმუნებული: თელავში—კალანდარიშვილი, წნორის წყალში—თავდგირიშვილი და თფილისის სადგურზე სამინისტროს რწმუნებული.

ხორბლის გამომგზავნი, ვინც უკვე ჩააბარა ნახევარი ხორბლეული უნდა ჰქონდეს რწმუნებულისაგან მოწმობა მასში, რომელიც შემდეგში აქ ჩამოერთმევა და კიდევ მისივე მოწმობა დანარჩენ ხორბლეულობის დაუბრკოლებლივ გასატანათ.

ვისაც მოწმობა არ აქვს, მას შეუძლიან მთელი თავისი ხორბლეული გამოგზავნოს მახლობელ სადგურიდან, მხოლოდ თფილისში, მომარაგების სამინისტროს სახელზე და აქ. თფილისის სადგურზე, ნახევარს ჩააბარებს სამინისტროს რწმუნებულს და დანარჩენს რწმუნებულის მოწმობის ძალით დაუბრკოლებლივ წაიღებს თვითონ.

ჩაბარებულ ხორბლეულობის საფასურს მიიღებს ნაღდათ რკინის გზაზე გადმოსატან ხარჯის დამატებით მომარაგების სამინისტროს სალაროში. მსურველთ შეუძლიანთ სამი მეოთხედი ჩაბარებულ ხორბლეულობის საფასურისა მიიღონ ნაღდათ და დანარჩენი საფასურის ანგარიშში წაიღონ მომარაგების სამინისტროს საწყობიდან სხვადასხვა ნივთები: რკინა, თვლები, ჰურჰელი, ლურსმანი და სხვა. (ნ. 5—3)

## ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ

### სამაზრო საერობო ურილობის ხმ სანთა არჩევნები მაზრაში დანიშნულია მიმდ ნარე წლის 6 მარტს.

მაზრა გაყოფილია, სამ საარჩევნო ოლქათ: ოზურგეთის, ჩოხატაურის, და ლანჩხუთის ოლქებათ, ქალაქი ოზურგეთი, თანახმად დროებითი საერობო დებულების დამატებისა წარმოადგენს ცალკე ოლქს.

საარჩევნო უბნათ აღიარებული თემი, ხოლო ტერიტორიით ფართო და გეოგრაფიული მდგომარეობით განსაკუთრებულ პირობებში მყოფ თემებში საარჩევნო ყუთები, გარდა თემის ცენტრისა, დაიდგმება ზოგიერთ შორეულ სოფლებშიდაც.

საარჩევნო სიები უკვე შედგენილი და გამოქვეყნებულია თემის გამგეობებში.

საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომ რეებათ დანიშნულნი არიან: ოზურგეთის ოლქში—ერობის ხმოსანი ივანე ლლონტი, ჩოხატაურისაში—ერ. ხმოსანი—ეფთიმე ცინცაძე და ლანჩხუთისაში—ერ. ხმ. ნიკოლოზ წილოსანი.

(ნ. 3—2) ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა.

## შრომის სამინისტროს განცხადება

მუშათა მაგიდის წინასწარ გამოანგარიშებით დეფიციტი ა. წ. თებერვალში თვიურ ფულ პურზე მოსამსახურეზე გათვალისწინებულია ათი ათასი (10 000) მან.

ყველა კერძო და საზოგადო დაწესებულებანი და წარმოებანი, რომელნიც მუშათა მაგიდიდან თებერვალში ღებულობდნენ სურსათ-სანოვაგეს ვალდებულნი არიან შეიტანონ 20 თებერვლამდე აღნიშნული თანხა დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის მიხედვით, მუშათა მაგიდის სალაროში.

წარმოებათ და დაწესებულებათ, რომელთაც თებერვალში რამოდენიმე დღის განმავლობაში არ მიუღიათ პური, შეუძლიათ ფულის შეტანის დროს განაცხადონ ზედმეტ შეტანილ თანხის მომავალ დეფიციტის ანგარიშში გადარიცხვის შესახებ.

დედანს ხელს აწერენ:

შრომის მინისტრის ამხანაგი ალ. ხახტაძე.

საქმეთა მმართველი ი. გოლდმანი. (ნ. 2—2)

## მუშათა მაგიდა

აცხადებს, ყველა დაწესებულება-წარმოებათა საყურადღებოთ, რომ დაწესებულებების გადაჯგუფება მოხდა ახალი ბარათული წესის შემოღებისთანავე და არავითარი ხელახალი გადაჯგუფება, ერთიდან მეორეში გადატან-გადმოტანა დაშვებული არ იქნება. ამისათვის ამ მიზნით შემოსული თხოვნა-განცხადებანი დატოვებულია უყურადღებოთ.

(ნ. 3—3) მუშათა მაგიდის გამგე გ. ფურაძე.

## საჭიროა

## წისქვილის ქვები

8 დიამეტრით 28 ვერშოკი და 4 დიამეტრით 26 ვერშოკი, ქვები უსათუოდ მაგარი თვისების უნდა იქნეს. მისამართი: საქ. სახაზინო რკინის გზების სასურსათო კომიტეტში, ელისაბედის ქ. № 200, რწმუნებულს ი. ბოლქვაძეს. (ნ. 3—3)

### საჭიროა ცხენოსან ლეგიონისთვის

### ზედმეტი მსახურნი და ნაჯით დაქირავებული მჭედლები

პირობების გაგება შეიძლება ცხენოსან ლეგიონის სამმართველოში (ნავთლუღში) (547—1—1)

## საქართველოს სახაზინო რკინის გზების სასურსათო კომიტეტი

საჯარო ვაჭრობით ყიდის დამტვრეულ ყუთებს სასურსათო კომიტეტის № 4 მაღაზიის ეზოში ჩერქეზოვის ქ., სახლი № 107. ვაჭრობა დანიშნულია ა/წ 14 თებერვალს, დღის 12—2 საათამდის. (ნ. 3—1)

კვირას 13 თებერვალს მუშათა აუდიტორიაში დღის 12 საათზე დანიშნულია თათრის მოედანზე მცხოვრებ მეზობლის ვაკე ... უბანში არსებულ ამხანაგებში მოამუშავე

## პარტიულ ამხანაგების საზოგადო კრება

დღის წესრიგი: მოხსენება მომენტზე და მცირე კოლექტივის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები. (2—1)

## სახელმწიფო დრამის თეატრი

შაბათს, თებერვლის 12-ს მეორედ

### რაც გინახავს ვეღარ ნახავ

კვირას, თებერვლის 13-ს

მეორედ **ალლუმი** მეორედ

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში. (ნ. 1—1)

## სახელმწიფო ოპერა

შაბათს, 12 თებერვალს ოპერა მუშებისათვის

## „ღალატი“

კვირას, 13 თებერვალს „ხაბავშო დილა“ სახელმწიფო საბალეტო სკოლის და მ. ი. პერინის სტუდიის მონაწ. „კოპელია და დივერტისმენტი“. საღამოთი: „დონ ჟუანი“ ორშაბათს, 14 თებერვალს—პირველად განახლების შემდეგ „მუზენტი“ სამშაბათს, 15 თებერვალს „კოპელია“ მორდკინის მონაწ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (ნ. 1—1)

1920 წ. 12 მარიამობისთვეს, უგზო უკვლოთ დაიკარგა

## ირაკლი შარმანის ძე კიკიბაძე

მას შემდეგ დაეძებთ და ვერაფერი გავიგეთ. თუ ვინმემ რამე იცის ზემოხსენებული პირის ვსთხოვთ გვაცნობოს შემდეგი ადრესით: ვარანცოვის ქ. № 99. ანასტასია კიკაბ ძეს. (560—2—1)

## ამის ლეგელი პირობა ურთიერთობის მოსაგვარებლად

საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლის ბ. შეინმანის საუბარში, რომელზედაც ჩვენ გუშინ გვქონდა ლაპარაკი, გარდა იმ აზრებისა, რომელიც შეეხება საქართველოს იურიდიულად ცნობას, გაშუქებულია საქართველოს და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის ფაქტიური მხარეც, რომელზედაც, როგორც დიდმნიშვნელოვან და ჩვენთვის მწვავე საკითხზე, გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ამ ურთიერთობას ბ. შეინმანი ასეთი სიტყვებით ახასიათებს: „ჩვენი ურთიერთობა ეს ერთი ხანია ჩიხში იმყოფება“. ეს ზედმიწევნითი დახასიათება საქმის მდგომარეობისა. რა მიზეზის გამო მოხდა ეს სამწუხარო მოვლენა? რამ მოამწყვდია „ჩიხში“ (тупикъ) ჩვენი ურთიერთობა? საკმარისია გავიხსენოთ მთავარი მომენტები ამ ურთიერთობისა, რომ პასუხი მივიღოთ ამ კითხვაზე.

7—12 მაისს დადებული ხელშეკრულება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს

# პარტიული საარჩევნო ბიუროები

ამხანაგების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ პარტიის წევრებს და თანამგრძნობთ საქალაქო არჩევნების შესახებ შეუძლიათ მიიღონ ყოველგვარი ცნობა და დარიგება შემდეგ პარტიულ საარჩევნო ბიუროებში.

**1. ცენტრალური ბიურო.** მისამართი: თფილისის კომიტეტის ბინა, ერთობის ქუჩა № 4. ბიურო ღიაა დილის 9—1 საათ. და საღამოს 6—10 საათამდე.

**2, პირველი რაიონის ბიურო.** ნაძალადევი, თეატრი დილის 9—1 საათ და საღამოს 5—9 საათ.

**3. მეორე რაიონი.** სახალხო სახლი დილის 9—1 საათ. და საღ. 5—9 საათამდე.

**4. მესამე რაიონის ბიურო.** კახეთის მოედანი № 1: დილის 9—1 საათ საღამოს 5 9 საათ.

**5. მეოთხე რაიონის ბიურო.** ვერის მუშათა კლუბი, ოლღას ქუჩა № 29. დილის 9—1 საათ. საღამოს 5—9 საათ.

**6 მეხუთე რაიონის ბიურო.** ნავთლუღი, კახეთის სადგური. დილის 9—1 საათ. საღ. 5—9 საათ.

**7. მეექვსე რაიონის ბიურო.** ბებუთოვის ქუჩა № 22. დილის 9—1 საათ. საღ 5—9 საათ.

**8. მეშვიდე რაიონის ბიურო.** ნავთლუღის სახალხო გვარდიის შტაბი. დილის 9—1 საათ საღ. 5—9 საათამდე.

---

შორის ამის შემდეგ საქართველოს და ადერბეიჯანს შორის ატეხილს ომს მოჰყვა საზავო ხელშეკრულება მათ შორის, როგორც პირველი ისე მეორე ხელშეკრულება გულისხმობდენ, რომ საქართველოსა და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის უნდა დადებულიყო ეკონომიური შეთანხმება. ხანგრძლივი შეხლა შემოხლის და დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა ეს ეკონომიური შეთანხმება შემუშავებულ და ხელმოწერილ იქნა 14 ნოემბერს. შეთანხმების ერთ ერთი მუხლი გულისხმობს რომ საქართველოს უნდა მიეღო ბაქოდან, ნავთი. ამ პირობის რეალიზაციის მიზნით ბაქოში გაიგზავნა 6 სამარშრუტო მატარებელი 12 ორთქლმავლით. მაგრამ საქართველოს არამც თუ ნავთი არ მოუვიდა, ადერბეიჯანის მთავრობამ მის მიერ გაგზავნილი მატარებლებიც კი დაიჭირა და სხვადასხვა რამის მიზეზებით იგი აქამდის არ თანხმდება მათს უკან დაბრუნებაზე. ამ ფაქტშია უმთავრესი მიზეზი საქართველოს და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის გამწვავებისა. ამაში უნდა ვეძიოთ სათავე იმ „ჩიხისა“, რომელზედაც ლაპარაკობს ბ-ნი შეინმანი. ამნაირი მოქმედებით ადერბეიჯანმა არა მარტო ფეხქვეშ გათელა 4 თვის მძიმე მუშაობით მიღწეული შეთანხმება, მან იმაზე კიდევ უფრო გააუარესა ჩვენი ურთიერთობა, ვიდრე იგი შეთანხმებამდის იყო. ამით მან შეთანხმებაც გააუქმა და ზედ დაართო კიდევ ერთი ახალი მტრული აქტი—**მოტაცება საქართველოს ქონებისა.**

ბ. შეინმანის სიტყვით, საბჭოთა რუსეთი გულწრფელად მოწადინებულია, რომ საქართველოს და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობა „ჩიხიდან“ გამოვიდეს. ჩვენი რესპუბლიკა მოხარული იქნებოდა დარწმუნებულიყო ამ სურვილის გულწრფელობაში. შეთანხმება და მორიგება ჩვენთვის იმდენათ სასურველია, რომ მიუხედავათ იმისა, რომ მტრული მოქმედების ინიციატივა ეკუთვნის საბჭოთა სახელმწიფოს და მაშასადამე, იგივე იყო ვალდებული ეკისრა ინიციატივა მტრობის ლიკვიდაციისა, **საქართველომ თითონ გადადგა პირველი ნაბიჯი მოლაპარაკების გასაახლებლად.**

რაში მდგომარეობს აუცილებელი პირობა მოლაპარაკების დაწყებისა? ბ. შეინმანი თანახმაა, რომ მოლაპარაკების დაწყება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „აღდგენილ იქნება ის ურთიერთობა, რომელიც დაირღვა დეკემბერში“. მაგრამ რა გზით შეიძლება მისი აღდგენა? ბ. შეინმანი გრძნობს, რომ მთავარი მიზეზი ამ ურთიერთობის დარღვევისა მდგომარეობს ადერბეიჯანის მთავრობის მიერ საქართველოს ქონების მოტაცებაში და, მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა ამ ყაჩაღობის ლიკვიდაციაა საჭირო. იგი მზათაა ადერბეიჯანის მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს სამარშრუტო მატარებლების დაბრუნების შესახებ. მხოლოდ იგი აქაც „გვევაჭრება“. მის ინტერვიუდან ჩანს, რომ ყაჩაღობის ლიკვიდაცია მას „მუქთად“ არ სურს; მას ამ ლიკვიდაციით „შეძენა“ მოუნდომებია; იგი მოითხოვს საქართველოსაგან, რომ მან ეს ლიკვიდაცია „იყიდოს“ შესაფერი ფასით; „მე წინადადებას ვაძლევ საქართველოს მთავრობას, რომ მან გაუშვას საქართველოდან საბჭოთა რესპუბლიკების კუთვნილი საქონელი, უზრუნველჰყოს სომხეთში გატარება 5 სასურსათო და 1 სათბობ მასალიანი მატარებლისა და მიჰყიდოს საბჭოთა რუსეთს 15 ათასი ცალი ცეცხლგამძლები აგური“. ბ. შეინმანი დასძენს, რომ საბჭოთა რუსეთს „ამისი უფლება აქვს იმ შეთანხმების ძალით, რომელიც ნოემბერ დეკემბერში იყო ძალაში“.

რაკი ბ. შეინმანს მოუსურვებია „ვაჭრობა“, ჩვენც არ გავექცევით ამ გზას. მხოლოდ ვაჭრობა უბრალო ანგარიშზე უნდა იყოს დაფუძნებული და მოვაჭრე არ უნდა ფიქრობდეს, რომ შესაძლებელია მყიდველის ყინულზე გაცურება.

14 ნოემბერს შეთანხმება მოხდა, მაგრამ მისი განაღდებისათვის არაფერი ყოფილა გაკეთებული, იმ დროს, როდესაც ადერბეიჯანის მთავრობამ მოსტაცა საქართველოს სამარშრუტო მატარებლები და მით ერთის დაკვრით მოსპო ყოველი შეთანხმება. ვისაც ამ შეთანხმების ნიადაგზე უნდა დაბრუნება, მან ჯერ ამ ყაჩაღობის ლიკვიდაცია უნდა მოახდინოს. ყაჩაღობით ადერბეიჯანის მთავრობამ მდგომარეობა ბევრათ უფრო უკან დააბრუნა, ვიდრე ეს იყო 14 ნოემბერს. და ვისაც 14 ნოემბრამდის უნდა მისვლა, ცხადია, ჯერ ეს მანძილი უნდა გაიაროს. 14 ნოემბრის შეთანხმება დაფუძნებულია იმ პრინციპზე, რომელსაც ეწოდება „do ut des“ (გაძლევ, რომ სამაგიერო მომცე). ჯერ ადერბეიჯანს არაფერი არ „მოუცია“ საქართველოსათვის. მაგრამ მან ჩვენგან უკვე „მიიღო“, ე. ი. მიითვისა ჩვენი ქონება. შეთანხმების ნიადაგზე დაბრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ამ წანართმევს ჩვენ უკანვე „მივიღებთ“. ეს ისეთი უბრალო არითმეტიკაა, რომ მცირეწლოვან მოწაფისათვისაც კი სრულიად უდავო უნდა იყოს.

უდავოა ისიც, რომ ყაჩაღობის ლიკვიდაციის შემდეგ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოში შესყიდული ქონება მხოლოდ მაშინ შეიძლება გაზავნულ იქნეს საქართველოდან, როდესაც ადერბეიჯანიდან საქართველოში გამოუშვებენ 14 ნოემბრის შეთანხმებით ხაგულისხმევს ნავთსა „Do ut des“. რამდენსაც ადერბეიჯანიდან გამოგზავნიან საქართველოში, იმის ექვივალენტს საქართველოდან მიიღებენ. არც მეტს, არც ნაკლებს. როდესაც იქიდან გამოგზავნიან მთელი იმ ქონების საფასურს ნავთს, რაც მათ ჩვენში აქვთ შესყიდული, მიიღებენ მთელს ქონებას. თუ გამოგზავნიან მხოლოდ ნაწილს, მიიღებენ მხოლოდ ნაწილსვე. თუ სამართლიანობის და **თანასწორუფლებიანობის** ნიადაგზე გსურთ მოლაპარაკების განახლება, ჩვენი პირობები სწორედ ამ ნიადაგზეა დაფუძნებული. თუ ბატონობას და საქართველოს დაჩაგვრას მოისურვებთ, ნუ იფიქრებთ რომ ამას მიიხწევთ.

ბ. შეინმანი თავის ინტერვიუში აღნიშნავს იმ უკიდურეს გაჭირვებას, რომელშიაც საქართველო ჩავარდა ადერბეიჯანიდან სათბობ მასალის მიუღებლობის გამო. ჩვენ არ დავმალავთ, რომ ეს გაჭირვება დიდია. მაგრამ თუ ვისმეს იმედი აქვს ამ გაჭირვების მოყენებით ჩვენ წამოგვაჩოქოს, თუ ვისმეს ჰგონია, რომ საქართველოს დემოკრატია დათანხმდება ნავთზე გაჰყიდოს თავისი სახელმწიფოებრივი თავისუფლება, იგი დიდათ შესცდება. ბევრი გაჭირვება და ტანჯვა წამება აუტანია მას თავის პრინციპებისა და იდეალებისათვის ბრძოლაში, მისი საუკეთესო შვილები თავის სისხლით უკ ფავენ გზას ამ იდეალებს და პრინციპებს. და ნავთის ნაკლებობა უბრალო რამეა შედარებით იმ მსხვერპლთან, რომლის გაღებასაც არ დაიშურებს ჩვენი ხალხი თავისი დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცველად.

---

## ვის არ უნდა მისცეს ხმა ამომრჩეველმა

### 1. სოც. ფედერალისტები.

მოახლოვდა ქალაქ თფილისის არჩევნები, ამოძრავდენ პარტიები. თავის საარჩევნო კამპანიას ყველა სოც. დემოკრატიის ძაგებით იწყებს. ბრუნდი და მართალი ყველა ხალხის მოკეთისა და მხსნელის როლში გვევლინება.

ამათ შორის ვხედავთ ჩვენს ძველ ნაცნობს — ფედერალისტების პარტიას. მისმა ორგანომ—„სახ. საქმემ“ უკვე დაიწყო საარჩევნო კამპანია. დაიწყო, როგორც მოსალოდნელი იყო, სოც. დემოკრატიაზე თავდასხმით. ის ჩვენ გვეუბნება, რომ „თქვენს შავ საქმიანობას თეთრად ვერავის მოაჩვენებთო.“

თეთრსა და შავ საქმიანობაზე ჩვენ შემდეგ გვექნება ლაპარაკი, ახლა გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ამ ახირებული პარტიის ახირებული საქციელი.

თუ თფილისის თვითმართველობის საქმიანობა დასაძრახისია, თუ ის დამღუპველია და ამაში ვინმე დამნაშავეა, მაშინ ამ დამნაშავეთა შორის ფედერალისტებიც არიან, ვინაიდან ქალაქის თვითმართველობის საქმეთა გამგეობაში ისინი პირდაპირ მონაწილეობას იღებენ. ერთი მათი წარმომადგენელი არის ქალაქის გამგეობის წევრი, ხოლო მეორე ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი. ამიტომ არსებითად ფედერალისტები ისევე პასუხისმგებლები არიან ქალაქის თვითმართველობის მუშაობაში, როგორც სოც. დემოკრატები. თუ „შავია“ უკანასკნელთა მოღვაწეობა და ამისთვის ჩვენ პასუხი უნდა ვაგოთ ამომრჩეველთა წინაშე, როგორ შეუძლიათ ასეთ პასუხისმგებლობას გაექცენ ფედერალისტები?

ასე იშოლტავენ თავის თავს ფედერალისტები უხტერაფეცრის (კოლეგით!

ისინი იწუნებენ ჩვენს მუშაობას და ჩვენს პოლიტიკას. მართალია, პირდაპირ არ ამბობენ, მარა უნდა ვ გულისხმოთ, რომ მოსაწონათ და ხალხისთვის მისაღებათ მიაჩნიათ მხოლოდ თავიანთი საქმიანობა და პოლიტიკა.

და აი, აქ დგება კითხვა: ვინ არიან ს. ფედერალისტები?

ვინ არის ეს ხალხი, რომელიც ასეთი დიდი პრეტენზიებით გამოდის ბრძოლის ველზე?

როგორია მათი ნამსახურობითი სია? რას წარმოადგენენ ისინი დღეს?

ვინ იყვნენ გუშინ ფედერალისტები?

ისინი მუდამ უჯარო გენერლებს წარმოადგენდენ. მათი ლაშქარი, ეს თავადაზნაურული ინტელიგენცია იყო. ამიტომ ძველი რეჟიმის დროს ფედერალისტების პარტია ბატონობდა სათავადაზნაურო ბანკებში, გიმნაზიებში და სხვა ასეთ დაწესებულებებში.

რეაქციის დროს ისინი რეაქციას ეშვენივრათ ეგუებოდენ, რევოლიუციის დროს უკიდურეს რევოლიუციონერობას იჩენდენ, რასაკვირველია, სიტყვით. ვის არ ახსოვს მათი სამარცხვინო პოზიცია ვორონცოვ-დაშკოვის მიერ მოწვეულ საერობო თათბირზე, სადაც მათი საუკეთესო კაცი კიტა აბაშიძე 90 წლის კუდ-შეკვეცილ ერობის დამცველათ გამოვიდა, იმ ერობის, რომელსაც ებრძოდენ და რომელიც მიუღებლათ მიაჩნდათ რუსეთის ლიბერალებს?

ვის არ ახსოვს მათი მიგებება ნიკოლოზ მეორისადმი, როცა იგი თფილისს ესტუმრა?

ჯერ კიდევ გუშინ ისინი მეფის პეტიციების პარტია იყვნენ. ეს „უკიდურესი დემოკრატები და სოციალისტები“ ყველგან და ყველაფერში დემოკრატიას უპირდაპირდებოდენ, მის გავლენას ებრძოდენ. მოვიგონოთ მათი პოზიცია წერა-კითხვის საზოგადოებაში, სადაც ისინი ებრძოდენ დიდი საწევრო გადასახადების შეცვლას, რომ ამ საზოგადოებაში მუშები არ შესულიყვნენ.

1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ფედერალისტების მუშაობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ლანძღავდენ და ცილს სწამებდენ სოციალდემოკრატიას, რომელსაც გააფთრებით სდევნიდა მეფის მთავრობა, მისი ჟანდარმერია, მისი პოლიცია.

ასეთები იყვნენ ფედერალისტები გუშინ.

მარა მოხდა 17 წლის დიდი რევოლიუცია. პირველი დღიდანვე ჩვენში ძალა-უფლება დემოკრატიის ხელში გადმოვიდა სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით.

და აი, ფედერალისტებიც რევოლიუციის ფერ უმარილით შეითხუპნენ და უკიდურესი დემოკრატობა და სოციალისტობა დაიწყეს. სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი ხან რუსი ესერების დამატებას წარმოადგენდენ, ხან დაშნაკელებს უმშვენებდენ მხარს (ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობაზე).

მარა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. შესდგა მისი პირველი მთავრობა, სადაც ორი ფედერალისტი იქნა გამინისტრებული. ფედერალისტებიც დადუმდენ.

მაგრამ დამფუძნებელი კრების არჩევნებმა გამოაშკარავა მათი სრული არარაობა. სოციალ-დემოკრატიას წილათ ხვდა უმაგალითო გამარჯვება ამომრჩეველთა 90 პროც. მის მხარეზე აღმოჩდა. შესდგა ერთფეროვანი სოც.-დემოკრატიული მთავრობა. და ფედერალისტებიც საოპოზიციოთ მოეწყვენ. პირველ ხანებში ეს ოპოზიცია მორცხვი და გაუბედავი იყო.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ არა ერთი და ორი გაჭირვება გადაიტანა, არა ერთი და ორი იერიში მოიგერია. წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ ბალშევიზმის საფრთხის წინაშე ვდგევართ

მოუახლოვდენ თუ არა „წითელი“ ურდოები ჩვენ საზღვრებს, ფედერალისტების ბანაკში შეიქნა ჩოჩქოლი, მით ქმა-მოთქმა. იქ თავი წამოყვეს თედო ღლონტებმა თავისი „აზიური პოლიტიკით“ და გაიჩაღეს ბალშევიზმის ხოტბა. ისედაც უპრინციპო, უჯარო, მუდამ მერყევი სოც. ფედერალისტთა პარტია მთლად მოიშალა. ინტელიგენტთა სექტა დანაწილდა: მის ერთი ფრთა ბალშევიზმისაკენ იყურება და მისი გამარჯვების მოლოდინშია, მეორე მეტისმეტად მემარჯვენებს და „რეაქციონერობს“, მათივე სიტყვით, ხოლო მეორე, ერთ-ცხოველივით შუაზე გაჩერებულა და არ იცის საითკენ წავიდეს.

ამით აიხსნება ის, რომ პარტია კონფერენციას იწვევს, იქ მთელი კვირაობით კამათია, ცხარე შეხლა შემოხლა. მარა პარტიის ორგანო ამას მკითხველ საზოგადოებას და თვით თავის პარტიის წევრებს უმალავს.

და აი ასეთი ხალხი, რომელსაც თავისი აზრის და შეხედულების გამომზეურების ეშინია ქართველ ხალხს ეუბნება: მიცანი ხელმძღვანელათ, ჩამაბარე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საქმე.

ფედერალისტების „პარტია“ დღეს ყველაფრის და არაფრის პარტიაა. ის ბალშევიკიც არის, ნაციონალ-დემოკრატიც, ესერიც. ის რეაქციის დროს რეაქციონერია, რევოლიუციის დროს უკიდურესი რადიკალი და სოციალისტი. პოლიტიკური სიო მას ადვილათ მიმოაფრენს ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ. მარა ერთშია ის მუდმივი.

ქართველი ხალხს, დემოკრატიას ის მუდამ ოპოზიციაში ედგა, არასოდეს არ ესმოდა მისი სულისკვეთება, მისი მისწრაფება.

ასეთია ბედი ყველა უხალხო პარტიისა.

ქართველ ხალხს არ აქვს არავითარი საბუთი აირჩიოს თავის ხელმძღვანელათ ქალაქის თვითმართველობაში ეს პარტია, რომელსაც თავის თავისთვის ვერ უწინამძღვრია, რომელმაც თითონ არ იცის რა აკეთოს, ვის მიემხროს ან ვის ებრძოლოს.

თუ არის ჩვენს ცხოვრებაში ისეთი პარტია, რომელსაც არც ერთმა ამომრჩეველმა არ უნდა მისცეს თვისი ხმა, რა წრესაც უნდა ეკუთვნოდეს იგი— ეს პირველ ყოვლისა ფედერალისტების პარტიაა.

არც ერთი ხმა ფედერალისტებს—ამ პოლიტიკური გაუგებრობის პარტიას!

---

## პრესა

### საარჩევნოთ.

„საქართველო“ გამოგვედავა, ჩვენ მიერ ამას წინეთ ჩამოთვლილი ნამუშევარი დაგვიწუნა და ხელის ხელ საგოგმანები მარგალიტები გამოაფინა თავის ფურცლებზე:

„ერთობა“ ჰგოდებს: კერძო მწარმოებლებმა არჩიეს სპეკულიაცია ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვასო. მენშევიკებს არ აქვთ წარმოდგენა უფლება-მოვალეობაზე. ქვეყნისთვის ზრუნვა—ეს უმთავრესად მმართველ პარტიისა, მთავრობისა და პარლამენტის საქმე გახლავთ. **კერძო ვაჭრები და მწარმოებლები რომ ქვეყნისთვის ზრუნვას შეუდგენ** (ხაზი ჩვენია) თქვენ რაღა უნდა გეკეთებიათ, თქვენი მოვალეობა რაღა იქნებოდა?“

ასე ვექილობს თავზე ხელაღებულ სპეკულიანტებს გაზ. „საქართველო“ და მისი სულის ჩამდგმელი „დემოკრატიული პარტია“.

მაშ ასე: დღემდე ყოველი მოქალაქის მოვალეობა იყო სახელმწიფოზე ზრუნვა. „საქართველომ“ გვამცნო, რომ ეს უფლება მოვალეობა არ ეხება მის პარტიას. იგინი მოწოდებული არიან მხოლოდ ისპეკულიანტონ და ქვეყანა აწრიონ.

ეს დავიხსომოთ.

შემდეგ გაზეთი ეხება თავდაცვის საკითხს და ამბობს:

„ქვეყნის გადარჩენა ოსმალთაგან და საზღვრების დაცვა და ჩვენი ხალხის პატრიოტული ამოძრავება— ეს ღირსება და დამსახურება—ღვაწლია ქართველი ხალხის მაღალი პოლიტიკური შეგნებისა და ჩვენი ჯარის თავგანწირულობისა, რომელშიც მენშევიკები **თითქმის ერთხაც ვერ მონახავენ მენშევიზმსა და სოციალიზმის მიმდევარს.** აქ სრულიად არ არის მოსატანი სოც. დემ. „მუშაობა“, რომელმაც ყოველთვის ხელი შეუშალა ჩვენი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვების სავსებით გამოყენებას“.

ქართველ ხალხში და ჯარში მენშევიკი და სოციალისტი არ ურევიათ—ასე რომ პირიქით ნიშნავენ, ერთი გვითხრან, მაშ სპეკულიანტები სხედან ფრონტზე თხრილებში?

ეს მეორეც დავიხსომოთ.

ახლა ვნახოთ მარგალიტები იურიდიულ ცნობის შესახებ:

„რაც შეეხება ჩვენს იურიდიულად ცნობას, ეს უნდა მომხდარიყო და მოხდებოდა კიდეც ორი წლის წინად, ყოველ შემთხვევაში ბალშევიკებთან ომის შემდეგ მაინც, რომ ჩვენს მენშევიკებს ტყუილად დრო არ დაეკარგათ სოციალისტურ კონგრესებზე სეირნობით და ეჭვი არ აღეძრათ ევროპის მთავრობების თვალში. ერთა ლიგას ჩვენთვის მიღებაში უარი არ უნდა ეთქვა, რომ მენშევიკების მუშაობა მიზანშეწონილი ყოფილიყო. ყველგან და ყოველთვის ჩვენ უნდა დავიგვიანოთ და ჩვენი უდაო უფლებები სადაოთ უნდა გავხადოთ მენშევიკების შეცდომების გამო“.

ასე იწერება სპეკულიანტების მიერ ისტორია...

მოდი მკითხველო და ასეთ პარტიაზე ნუ იტყვი: კაცს რომ ღმერთი გაუწყრება, ჭკუას წაართმევსო“.

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

თებერვლის 11.

## გერმანული ცნობები

### ლონდონის კონფერენციისათვის.

**ნაუენი.** 11 თებერ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეადგინა კომისია, რომელიც შესდგება სახელმწიფოებრივ მეურნეობის ყველა დარგის წარმომადგენელთაგან. ამ კომისიამ უნდა გამოიმუშაოს ლონდონის კონფერენციისადმი წარსადგენი კონტრწინადადებანი. ეს კომისია გამოარკვევს აგრეთვე გერმანიის თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობას და შრომის ნაყოფიერებას.

#### საფრანგეთში.

საფრანგეთის პალატამ 387 ხმით 125 წინააღმდეგ ბრიანს ნდობა გამოუცხადა.

#### გერმანია და საფრანგეთი.

შვეციის პრემიერ-მინისტრი ბრანტინგი სწერს: საფრანგეთმა არ უნდა მოსთხოვოს გერმანიას ის რაც მას არ შეუძლია. გერმანიის ექსპორტის გაძლიერება დიდ კონკურენციას გაუწევს არა მარტო ნეიტრალურ ქვეყნებს, არამედ ინგლისსა და საფრანგეთსაც.

## რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

#### ამნისტია ფინლიანდიაში.

**რიგა.** 7 თებ. რუსეთსა და ფინლიანდიას შორის საზავო ხელშეკრულობის დადების გამო გამოცხადდა ამნისტია, რომლის ძალით 468 პოლიტიკური დამნაშავე გაითავისუფლეს.

#### ბოლშევიკების გასამართლება.

**ადესა.** 1 თებ. კიშინიოვში დაიწყო პროცესი 33 ბოლშევიკისა, რომლითაც ბრალს სდებენ ბოლშევიკურ პროპაგანდასა და ორგანიზაციების მოწყობაში.

#### ბოჰემიის კომუნისტები.

**რიგა.** 8 თებ. ბოჰემიის გერმანელ მემარცხენე სოციალისტების კონფერენციაზე გადასწყვიტეს ყოველივე კავშირი გასწყვიტონ სოციალდემოკრატებთან და მოიწვიონ კონგრესი კომუნისტური პარტიის დასაარსებლად.

**რიგა** 8 თებ. შვეიცარიაში კომუნისტების კონგრესზე მესამე ინტერნაციონალის მომხრეებმა მიიღეს 1723 ხმა. მათ შვეიცარიის კომუნისტური პარტია დაარსეს.

## ფრანგული ცნობები

#### ზარალის ანაზღაურების შესახებ.

**ლიონი,** 10 თებერვ. „ჟურნალ დე დებას“ მოჰყავს ფრანგ ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის ტენის წერილი, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1872 წლის თებერვალში, მაშინ, როდესაც დამარცხებული საფრანგეთი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოეყვანა სისრულეში თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი. იმ გრძნობების შედარება, რომელიც ამოძრავებდა მაშინ საფრანგეთის გამოჩენილ ისტორიკოსს გვიჩვენებს თუ როგორია განსხვავება გერმანელებსა და ფრანგების ტემპერამენტში. ერთი რასის იურისტები კრძალვით ეპყრობიან იმას, რასაც უკრძალავს მათ სინდისი და რასიული სიმაყე (დამახასიათებელია)... საფრანგეთმა უნდა მისცეს გერმანიას 3 500 მილიონი ფრანკი და ეს უნდა მოიყვანოს სისრულეში, ვინაიდან იგი ხელშეკრულების წინაშე სდგას.. (დამახასიათებელია)... ასეთი იყო ენა საფრანგეთის ფილოსოფოსისა მაშინ როდესაც მას სურდა გამოენახა გზა მიღებულ ვალდებულებათა სისრულეში მოსაყვანათ.

---

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

### შიმშილი.

**სტამბოლი.** ჰავასის სააგენტო საქართველოს დეპეშათა სააგენტოს აუწყებს შემდეგს: თანახმად ფინლიანდიის პრესის ცნობისა მოსკოვში და პეტროგრადში შიმშილმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. სურსათ სანოვაგით დატვირთულ ვაგონებს იმის შიშით, რომ მშიერმა ბრბომ არ გაანადგუროს, შეიარაღებული ძალები იცავენ. პეტერბურგის პრესა აღნიშნავს, რომ მცხოვრებლები შიმშილობენ და ამაში ადგილობრივ საბჭოები არიან დამნაშავენი. საბჭოების მიერ დარიგებული სადილი შესდგება მღვრიე წყლისა და დამპალ კარტოფილისაგან ამის გამო გარდაცვალებულთა რიცხვი მეტად გაიზარდა. ხშირად შეხვდებით შიმშილისაგან გარდაცვალებულს ქუჩაზე.

#### ინგლისის მუშათა პარტია და მოსკოვის ინტერნაციონალი.

**ლონდონი.** ჰავასის სააგენტო იუწყება, ინგლისის მუშათა პარტია დიდი ხმის უმრავლესობით მოსკოვის ინტერნაციონალთან შეერთების წინააღმდეგ წავიდა.

#### ლივორნოს კონგრესი.

**პარიზი.** „ჟურნალ დე დება“ ეხება ლივორნოში მომხდარ სოციალისტურ კონგრესს და სწერს, რომ ამ კონგრესზე იყვნენ რუსეთის და გერმანიის კომუნისტების წარმომადგენლებიც. პირველ სხდომას იწვავე ხასიათი ჰქონდა. კომუნისტებსა და ცენტრს შორის შეტაკება მოხდა. თავმჯდომარე იძულებული იყო კონგრესის წევრთაგან მოეწყო მახლობელთა მილიცია წესრიგის დასაცავათ.

---

## მთავრობაში

მთავრობამ სამი თებერვლის სხდომაზე მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება სარეზერვო ფონდის აღდგენის შესახებ დაადგინა: გაიღოს მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებაში ათ მილიონიან ფონდიდან 100,000 მანეთი სარეზერვო ფონდის აღსადგენათ.

მოისმინა რა შუამდგომლობა ალავერდის თემისა მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ მთავრობამ დაადგინა: გაიღოს თავდაცვის ფონდიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში 2 მილ. მანეთი სესხის სახით ალავერდის თემზე გადასაცემათ. გარდა ამისა, მთავრობამ დაადგინა გადაირიცხოს 20 მილიონიან ფონდიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 2 მილიონი მანეთი ალავერდში გადასახლების მოსაწყობათ და გადასახლებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

—

მთავრობამ მოისმინა რა მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისა დუშეთის სამაზრო ერობის მიერ სამაზრო გადასახადის შემოღების შესახებ დაადგინა: მიანდოს შ. ნ. საქ. მინისტრს აცნობოს ყველა ერობას, რომ მათ არ აქვთ უფლება შემოიღონ ესა თუ ის გადასახადი და რომ ის საერობო თვითმართველობები, რომლებიც გააწერენ ხალხს გადასახადს ამა თუ იმ ფორმით, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. დუშეთის ერობის მიერ შემოღებული გადასახადი, როგორც არა კანონიერი უნდა გაუქმდეს, შეკრებილი 16 მილიონი მანეთი კი უნდა ჩაირიცხოს საერობო გადასახადების ანგარიშში.

---

## ახალი ამბები

**მთავრობის თავმჯდომარემ** 10 თებერვალს მიიღო ამერიკის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელი კაპიტანი იაროუ და სომეხთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე.

**◆ შინაგან საქმეთა მინისტრი** 10 თებერვალს ინახულა ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პოლ. კიაზიმ-ბეიმ.

**◆ გადასახადების გაწერის უფლება.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამაზრო ერობებს აცნობა შემდეგი: თანახმად მთავრობის 3 თებერვლის დადგენილებისა გაცნობებთ, რომ სამაზრო ერობებს არ აქვთ უფლება მთავრობის ნებადაურთველათ რაიმე გადასახადების მცხოვრებლებზე გაწერისა. ის ერობები, რომელნიც ასეთ გაწერას მოახდენენ, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

**◆ სახაზო გადასახადების შესახებ.** ფინანსთა სამინისტროს მრჩეველმა დებორსიმ მიმართა თხოვნით სავაჭრო სამრეწველო პალატას აცნობოს მას ის პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობდა პალატა საბაჟო გადასახადების შედგენის დროს.

**◆ ხეების აღწერა.** თფილისის ქალაქის გამგეობაში და ერობათა კავშირში შეტანილ იქნა შემდეგი შინაარსის განცხადება: ამ უკანასკნელ ხანებში თფილისში, რომელიც არც ისე მდიდარია ბაღებით, უმოწყალოთ ანადგურებენ ხეებს. სახლის მეპატრონენი შეშისათვის ასწლოვან ხეებსა სჭრიან. ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რომ ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას და ზომები იქნას მიღებული ხეების მოჭრის წინააღმდეგ. ამ მიზნით სასურველი იქნებოდა, რომ სახლის კომიტეტებისათვის დაევალებიათ: ა) ქალაქში არსებულ ყველა ხის ერთი დღის განმავლობაში აღწერა და ბ) სასტიკ თვალყური ადევნონ, რომ ქალაქის თვითმართველობის ნება დაურთველად არავინ მოსჭრას ხეები და ამა თუ იმ მოსაზრებით არავინ შეამციროს ბაღები.

**◆ ყოფილი ნეიტრალური ზონა** (ბორჩ. მაზ.) შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი მოხსენება წარუდგინა მთავრობას: რესპუბლიკის ფარგლებში ამ ჟამად ფაქტიურად შევიდა ყოფილი ნეიტრალურ ზონის (ბორჩალოს მაზრის) მოსაზღვრე დისეხკის და ჯალალ-ოღლის რაიონები. მაგრამ, ვინაიდან რაიონები ოფიციალურად არ შედიან ნეიტრალურ ზონის ფარგლებში, ჯერჯერობით იქ მართვა-გამგეობის საქმე ცუდ მდგომარეობაშია, რის გამო სახელმწიფო დაწესებულებათა მდგომარეობა მეტის მეტად შევიწროვებულია: სკოლა, სასამართლო, სამედიცინო დახმარება და სხ. მოშორებულია ცენტრალურ დაწესებულებებს და ამიტომ მცხოვრებნი უმწეო მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი. ამიტომ ეს რაიონები უნდა მიეწეროს ყოფილ ნეიტრალურ ზონას და დანიშნულ იქნეს საერობო არჩევნები, მაგრამ სანამ ერობო მართველობა მოეწყობოდეს მაზრაში უნდა დანიშნულ იქნეს გ... საკუთრებული რწმუნებული.

**◆ „ეკონომიური კრიზისი ევრო-**

ში". კვირას, 13 თებერვალს, კოოპერატივი „ედინენიე" კონსერვატორიის დარბაზში მართავს ს. ლ. ჟვალიანის ლექციას შემდეგ თემაზე: „ეკონომიური კრიზისი ევროპაში". დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში (გოლოვინის პროსპ.) და კოოპ. „ედინენიეს" განყოფილებებში.

◆ **ეროვნული მუზეუმი.** ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო თათბირმა დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე ბიბლიოთეკის მოსაწყობათ სათანადო თანხის გადადების შესახებ. ბიბლიოთეკის მოწყობა მიენდო მუზეუმის ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიურ განყოფილების გამგე პროფ. ჩუბინაშვილს. ამ ახლო ხანში ეროვნული მუზეუმი გამოსცემს „საქართველოს ეროვნულ მუზეუმის უწყებებს". ამ დღეებში სახალხო განათლების მინისტრმა და მისმა ამხანაგმა დაათვალიერეს მუზეუმის ყველა შენობები. მუზეუმის საამშენებლო კომისიამ მიმართა სახალხო განათლების მინისტრს შუამდგომლობით 10 მილ. მანეთის გადადების შესახებ, რომელიც საჭიროა მუზეუმის შენობის დასამთავრებლათ.

◆ **სტუდენტთა კოოპერატივში** (რუსთაველის პრ. № 40) იყიდება მხოლოდ წევრებზე შეკერილი კოსტიუმები ხელმისაწვდომ ფასებში. წევრებს სთხოვენ დაჩქარებით შეიძინონ.

◆ **სახელმწიფო დრამის თეატრში.** ხვალ, თებერვლის 12 ს. მიდის მეორედ ა. ცაგარლის კომედია 3 მოქმედებად „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", მთელი დასის მონაწილეობით და ა. ახმეტელის რეჟისორობით.

◆ **საქ. პირველი სახალხო [illegible] საზოგადოება „[illegible]"** გამგეობის საორგანიზაციო კრებაზე, რომელიც შესდგა 7 თებერვალს, გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფ. ჯამბარაშვილი, მის ამხანაგად: საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე ექ. მ. მგალობლიშვილი და დაბალ მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარე დავით თავდგირიძე, მდივნად: სახელმწიფო ბანკის კანცელარიის გამგის თანაშემწე. კაკალიძე. მოლარეობა დაევალა ექ. მგალობლიშვილს. გამგეობამ გაგზავნა თავისი წევრი აგრონომი ანთიძე ბორჩალოს მაზრაში და ყარაიაში ადგილობრივად ცნობების შესაკრებად იმ თავისუფალ მიწების შესახებ, რომლის აღება მას აქვს განზრახული.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** დღეს საღ. 7 ს. დანიშნულია სოც.-დემ. სტუდენტთა (ყველა ფაკულტეტებისა და დარგების) საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ამხ. სიით დევდარიანი პარტიული კონფერენციის მუშაობისა და დადგენილების შესახებ.

◆ **მოჭადრაკეთა დილა [illegible].** კვირას 13 თებერვალს, შუადღის 12½ ს. ქართულ სამუსიკო სასწავლებელში (პეტრე დიდის ქ. № 8) გაიმართება მოჭადრაკე მუსიკალური დილა, რომელზედაც მიწვეულნი არიან მშობლები, მოჭადრაკეთა [illegible] და სხ.

◆ **მეწაღეთა კრება** კვირას, 13 თებერვალს 1 ს. სახელოსნო ცენტრის ბინაზე (თავისუფლების მოედანი, სასტუმრო „კავკაზი") დანიშნულია მეწაღეთა საერთო კრება. განსახილველია მეწაღეობის და მეწაღეების მდგომარეობა. საკითხი განხილულ იქნება მიუხედავათ იმისა, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს, ამისათვის სთხოვენ თფილისში მყოფ ყველა მეწაღეებს აუცილებლად დაესწრონ კრებას.

◆ **საქართველოს სახაზინო რკინის გზების** საუწყებო კომიტეტმა ჩააბარა ხე ტყე ისპანიის ფირმას „ექსპორტადორ ისპანო ორიენტალის" ამ მანუფაქტურისა და ფეხსაცმელების ნაცვლად, რომელიც რკინის გზების მოსამსახუ-

რეებს უკვე დაურიგდათ. დატვირთვა დასრულდება ბათომში 15 თებერვალს. გემი ბარსელონაში წავა.

## იტალიის საელჩოს ცნობები

**რომი.** 7 თებერვ. საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა სფორცამ სენატში წაიკითხა მოხსენება პარიზის კონფერენციის შედეგების შესახებ და განსაკუთრებით დაწვრილებით შეეხო იმ პოზიციას, რომელიც დაიკავა იტალიის დელეგაციამ ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა ცნობის საკითხში, ე. ი. ბალტიის სახელმწიფოებისა და საქართველოს რესპუბლიკის აღიარების საკითხში. იტალიის დელეგაციამ ამ საკითხებში დაიკავა დადებითი პოზიცია. ზოგიერთებმა გამოსთქვეს ეჭვი, რომელიც საერთო გართულებულ მდგომარეობით აიხსნება. მაგრამ მე აღვნიშნეთ, განაცხადა სფორცამ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია რუსეთის მთავრობაზე უფრო მეტი რუსობა გამოვიჩინოთ და თუ რუსეთის მთავრობამ იურიდიულად აღიარა ესტონეთი, ლატვია და საქართველო, ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რომ იურიდიულად არ ვიცნოთ საქართველო, მით უმეტეს, რომ საქართველოს მთავრობამ მეტათ მძიმე პირობებში დაამტკიცა თავისი სერიოზულობა და გამოიჩინა მნიშვნელოვანი ძლიერება. ჩვენს მდგომარეობაში არ შეიძლება, რომ საქართველოს იურიდიულად ცნობაში ვინმემ დაინახოს რუსი ხალხისადმი ჩვენი თანაგრძნობის შემცირება. იტალია არ ივიწყებს ომის დროს რუსეთის ლაშქრის მიერ გამოჩენილ გმირობას. იმ [illegible] ჟამს, რომელსაც ამ ჟამად განიცდის რუსეთი; იგი ახდენს თავისი რეკონსტრუქციის ფედერატიულ შეკავშირებისა და მოსაზღვრე სახელმწიფოების პატივისცემის ნიადაგზე. ამგვარად რუსეთი მოსაზღვრე სახელმწიფოებს უდევლებს თავის დიდ მეზობელთან არსებობას.

## ეკლესიის გარშემო

ოზურგეთში ჯარისკაცთა და გვარდიელთა თეატრში შესდგა მოქალაქეთა და მორწმუნეთა კრება. ეკლესიის განახლების ჯგუფის სახელით ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა მღვ. ეპიფანე ჩხაიძემ, რომელიც დამსწრეების მიერ ინტერესით იქნა მოსმენილი, ცხადია მომხსენებელი შეეხო სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფის საკითხს და ეს აუცილებელ საჭიროებათ სცნო თვით მორწმუნეთათვის. შემდეგ ვრცლად ილაპარაკა კრების თავმჯდომარემ, გიმნაზიის გამგემ ბ-ნმა ილია ფერაძემ, რომელმაც ისტორიული საბუთებით იგივე დაადასტურა. მანვე ფრიად მოიწონა მთავრობის განკარგულება ეკლესიისა და მონასტრის ზოგიერთი ნივთების მუზეუმში გადატანის შესახებ. ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც. დამსწრენი (და მათ შორის მღვდლებიც, გარდა ერთისა) ყველა კმაყოფილი დარჩა. კრების დასასრულ თავმჯდომარემ წინასიტყვაობის და განმარტების შემდეგ (ვრცლად ამის შესახებ) წარუდგინა კრებას შემდეგი შინაარსის რეზოლუცია:

„ოზურგეთში შემდგარი კრება მოქალაქეთა და მორწმუნეთა 8-6 ილია ფერაძის თავმჯდომარეობით, მოხსენების შემდეგ სრულ ნდობას უცხადებს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, მოიწონს მის განკარგულებას ეკლესიის და მონასტრის ზოგიერთი ძვირფასი ნივთების მუზეუმში მოთავსების შესახებ და თავის უკმაყოფილებას გამოსთქვამს კათალიკოსის მიერ მთავრობის მიმართ [illegible] მოქმედების დაგმობის გამო".

ტაბლიაშვილი.

# სოც.-დემ. პარტიაში

## კრებები

დღეს, საღამოს 4½ ს. დანიშნულია მეოთხე რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა. ამ კრებას უნდა დაესწრონ უბნის საარჩევნო კომისიების ყველა პასუხისმგებელი ამხანაგები.

— კვირას, 13 თებერვალს 4ს. ავჭალის აუდიტორიაში (ჩერქეზიშვილის ქ.) დანიშნულია მეორე რაიონის ს.-დ. ქალთა კოლექტივის წევრთა საზოგადო კრება, სავალდებულოა ყველა წევრების დასწრება.

## განცხადებანი

კვირას, 13 იანვარს, 4½ ს. თფილისის ს.-დ. მეორე კოლექტივის ბინაზე (ზუბალაშვილის სახლი, [illegible]) მოწვეულია მეორე რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება, რომელზედაც ამხ. სიით დევდარიანი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საქ. ს. დ. მ. პარტია და „[illegible]". კრებაზე დაესწრონ ყველა ს.-დ. პარტიის წევრები. (2—1)

— მეოთხე რაიონული კოლექტივი თავის წევრთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ რაიონული კოლექტივის ბინა ღიაა ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილით: 12—2 საათამდე და საღ. 5—7 საათამდე. (5—3)

— კვირას, 13 თებერვალს, მუსულმანთა აუდიტორიაში დილის 12 ს. დანიშნულია თათრის მოედანზე მცხოვრებ და მეხუთე უბანში არსებულ ამხანაგებში მომუშავე პარტიულ ამხანაგების საზოგადო კრება. (2—1)

— კვირას, 13თებერვალს, დილის 10 ს. მეექვსე რაიონის მეათე კლუბში (ბებუთოვის ქ. № 22) დანიშნულია მეოთხე სამილიციო უბნის მცირე კოლექტივის ს. ს. დ. მ. პ. კრება. დღის წესრიგი: 1) მცირე კოლექტივის არჩევნები, 2) ქალაქის თვითმართველობის საარჩევნო კომისიის არჩევნები 3) მიმდინარე მომენტი. მცირე კოლექტივი სთხოვს პარტიულ ამხანაგებს დაესწრონ კრებას. (2—1)

— **ქ. გორში**, კვირას, 20 თებერვალს დილის 10 საათზე (სამაზრო კომიტეტის ბინაზე, ერთობის ქ.) შესდგება ს. ს. დ. მ. პ. გორის სამაზრო კომიტეტის კრება. გასარჩევია ფრიად სერიოზული კითხვები: კომიტეტის წევრებს ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრონ. კრება მეორეჯერად მოწვეული და რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს კანონიერი იქნება. (5—2)

## პარტიული მუშაობა

**ოფიდიხი.** 27 იანვარს შესდგა მესამე რაიონის განახლებულ კოლექტივის სხდომა პირველად კოლექტივმა მოისმინა და ცნობით მიიღო მოხსენება ოფი

ლისის კომიტეტისა. სხდომაზე არჩეულ იქნა მუდმივი კომისიები: საფინანსო და საპროპაგანდო, რომელთაც დაევალათ ყოველ სხდომაზე ამცნონ კოლექტივს თავიანთი მუშაობის გეგმები.

ფრონტის დამხმარე კომისიას წინადადება მიეცა შეგროვილი ნივთები გადასცეს მთავარ კომიტეტს. ამის შემდეგ კოლექტივს მოხსენდა 22 იანვარს გამართულ საღამოს ანგარიში, რომელსაც წმინდა შემოსავალი დარჩენია 85,000 მ. ძველი კოლექტივის ზოგიერთ ყოფ. წევრთ, რომლებიც არ იქნენ ახალ კოლექტივში არჩეულნი, ევალებათ დაესწრონ კოლექტივის სხდომებს და დახმარება გაუწიონ მას საერთო მუშაობაში. კანდიდატებს ევალებათ ყველა სხდომებს ესწრობოდენ სისტემატიურად.

ვერხვი.

—

**[illegible].** (კახ) 2 თებერვალს შესდგა მეხუთე რაიონის ს. ს. დ. მ. პ. წევრთა საერთო წლიური კრება. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ბრძოლის ველზე დახოცილ ამხანაგების ხსოვნას. ამის შემდეგ კრება ესალმება ძვირფას მასწავლებელს ამხ. ნ. ჟორდანიას, დამფუძნებელი კრებას, სახალხო გვარდიას და ჯარს. დადგენილ იქნა გაეგზავნოს მისალმების დეპეშა ცენტრალურ კომიტეტის სახით მთელ საქართველოს დემოკრატიას, საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო.

მისალმებების შემდეგ კრება შეუდგა დღის წესრიგის განხილვას. გასარჩევი იყო: 1) მოხსენება კოლექტივის შესახებ, 2) მოხსენება კომ. წევრისა, 3) არჩევნები კოლექტივის და თფილისის კომ. წევრის და სხვა.

კრებამ მოისმინა მოხსენებები კოლექტივისა და თფილისის კომიტეტის მოქმედების შესახებ და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენებები კოლექტივისა და თფილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ და იღებს რა მხედველობაში სახელმწიფოს მდგომარეობას და პარტიული ძალების დაქსაქსვას, კრება იწონებს მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და გადადის მორიგ კითხვებზე. სხვა კითხვების გარჩევის შემდეგ მოხდა არჩევნები.

ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნენ კოლექტივში: გ. ბალარჯიშვილი, ო. ფანცულაია, ფ. ნინუა, ივ. გიუტაშვილი, ალ. ტაბატაძე, ალ. სეფერთელაძე, ნ. ვაშაკიძე. კანდიდატებათ: სვ. ფოთოლაშვილი, მიხ. ცქიტიშვილი, ალ. პონომარენკო. თფ. კომიტეტში: ვლ. ბოხოხაძე, მის კანდიდატათ: ნ. ვაშაკიძე.

მდივანი ლ. ახობაძე.

—

**შილდა.** (კახეთი), 5 თებერვალს შესდგა შილდის ორგანიზაციის სოც.-დემ. პარტიის წევრთა კრება. კრებამ შეიმუშავა შემდეგი წესრიგი: 1) ახალი წევრების მიღება, 2) შილდის თემის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ვ. კივლიშვილის მოხსენება მისი თემში მოღვაწეობის შესახებ, 3) რეორგანიზაცია კომიტეტისა და 4) მიმდინარე საკითხები. კრებამ დაადგინა სასტიკი ყურადღება მიექცეს ახალი წევრების მიღებას და თუ საჭირო იქნება, მოხდეს გაცხრილვა ძველი წევრებისა. ამის შემდეგ მიღებულ იქნა რამდენიმე ახალი წევრები.

შემდეგ კრება ისმენს ამხ. ვასო კივლიშვილის მოხსენებას, რასაც საზოგადო კრება დამაკმაყოფილებულად სთვლის და გადადის შემდეგ საკითხზე.

შემდეგ მოხდა კომიტეტის წევრთა არჩევნები. ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნა 5 წევრი: 1) ს. ჩიტაური, (თავმჯდომარე) 2) ვ. ალნიაშვილი (თავმჯ. თანაშემწე), 3) გ. უთურაშვილი (მდივანი), 4) მ. ლომაური (მოლარე) და აბაზაშვილი. კანდიდატებათ არჩეულ იქნენ: 1) ი. ალნიაშვილი და 2) ი. იორდანიშვილი.

თავმჯდომარე ნ. იმნ ძე.
მდივანი გ. უთურაშვილი.

— —

ამხანაგო რედაქტორო! გაზ. „ერთობის" 4 თებერვლის ნომერში მოთავსებულია ამონაწერი საქ. ს. დ. მ. პ. ც. კომ-ის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან, რომელიც ეხება ვინმე ბასილაიშვილს; ვინაიდან ამხანაგებს ჰგონიათ, რომ აღნიშნული ოქმის ამონაწერი მე მეხება, ამისათვის გთხოვთ განმარტებას, რომ აღნიშნული ოქმიდან ამონაწერი მე არ მეხება.

ხაშურის რაიონის საქ. ს. დ. მ. პ. მე 4 „იაჩეიკის" ბიუროს თავმჯდომარე **ივანე ხაჩატურის ძე ბასილაიშვილი.** *)

## ევროპისა და ამერიკის ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა

თებერვლის 1 ერობათა კავშირს მომარაგების სამინისტრომ შემდეგი შინაარსის ქაღალდი გაუგზავნა: ამით გაუწყებთ, რომ ჩვენ მივიღეთ ცნობები, რომლებიც რამდენათმე ასურათებენ ევროპისა და ამერიკის საერთო მდგომარეობას. ამ ცნობების მიხედვით ევროპისა და ამერიკის სამეურნეო ცხოვრება ნახევრად გაყინვის პროცესში იმყოფება და მძიმე კრიზისს განიცდის. ნედლი საქონლის მოთხოვნილება თითქმის სრულებით არ არსებობს ისე, როგორც არ არსებობს მოთხოვნილება დამზადებულ საქონლისა ნედლი მასალის ლირებულებამ ამ უკანასკნელ ნახევარი წლის განმავლობაში კატასტროფიულად დაიწია: მაგალითად, ამერიკის ბამბის ფასმა 25—30 პენსიდან (ინგლისურ გირვანქაზე) 8—12 პენსამდე დაიწია. თითქმის არავითარი მოთხოვნილება არ არის მატყლზე: დაიდო სულ ცოტა სავაჭრო პირობანი, რომლის მიხედვითაც ერთ ინგლისურ გირვანქა ავსტრალიურ მატყლს ხუთ პენსათ ყიდულობდინ. აბრეშუმის პარკის ფასმა კილოზე 80—90 ფრანკიდან 35 40 ფრანკამდე დაიწია და მყიდველები მაინც არ არის. ფასის დაცემა ემჩნევა აგრეთვე ლითონსა და ნახშირს. ეცემა აგრეთვე საქონლის გადაზიდვის ფასი. თუ 1920 წ. აგვისტოში საზღვაო საზოგადოება „კუნარდი" ბათომამდის მცირე ბარგის გადასატანათ 7—8 გირვანქას მოითხოვდა, ამ ჟამად დიდი 4 ნახ.—გირვანქას მოითხოვს.

მრეწველობის მდგომარეობა ასეთია: ინგლისის საწარმოო დაწესებულებათა 4 პროც. გაჩერებულია, 30 პროც. კი კვირაში მხოლოდ 4 დღეს მუშაობს. იტალიის აბრეშუმის მრეწველობის 15 პროც გაჩერებულია. საფრანგეთშიაც ამგვარი მდგომარეობა არის. გერმანიის მრეწველობას ხელს უშლის და აფერხებს საკუთარი საქონელი. საქონელი, განსაკუთრებით რკინის გზისათვის საჭირო, შეკვეთილი აქვს დიდ საწარმოვო დაწესებულებათ. ის პირები, რომელთაც გადმოგვცეს ეს ცნობები, დარწმუნებული არიან, რომ ამ ერთსა და ორი წლის განმავლობაში ამერიკა და ევროპა ვერ შესძლებს გვერდი აუაროს და თავიდან აიცდინოს უკვე დაწყებული კრიზისი მრეწველობისა. ამ უკანასკნელ ხანებში ამერიკასა და შვეიცარიაში რამდენიმე ბანკი გაკოტრდა. მარტო ამერიკაში გაკოტრდა 21 ბანკი. (სდს).

## თფილისის ამომრჩეველთა საყურადღებოთ

თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩევლების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ თანახმად საბჭ. ხმ. არჩ. დებ. მე 14 მუხლისა სახმოსნო კანდიდატთა სიებს მივიღებ ქალაქის თვითმართველობაში, ჩემს კაბინეტში 17 თებერვალს დილის 9½ საათიდან ნაშუადღევის 3½ საათამდე. რიცხვი კანდიდატთა არ უნდა აღემატებოდეს ხმოსნების საერთო რიცხვს, ე. ი. 90-ს ასეთი სიები უნდა იქმნან ხელმოწერილი მათ წარმომადგენელ ამომრჩევლების მიერ, რომელთა რიცხვი არ უნდა იყოს 45-ზე ნაკლები.

სახმოსნო კანდიდატთა სიებში უნდა იქმნენ ნაჩვენები რომელ საარჩევნო უბანზეა მიწერილი კანდიდატი და რა ნომრითაა შეტანილი საარჩევნო სიაში.

ასეთივე ცნობებია საჭირო იმ ამომრჩეველთათვისაც, რომლებიც წარმოადგენენ სიას და აწერენ მაზე ხელს. ის სიები, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთდასახელებულ მოთხოვნილებებს, ჩემ მიერ იქნებიან დანომრილი შემოსვლის მიხედვით და გამოცხადებული საყოველთაოდ.

ქალაქის მოურავი.

## როგორ უნდა მართავდეს რესპუბლიკა ბორჯომს და მის რაიონს *)

ფაქტიურად დღეს ბორჯომში სამი მმართველობაა: ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველო მამულის გამგის მეთაურობით, საკურორტო დირექცია წყლებისა მთავარი ექიმის მეთაურობით და ქალაქის თვითმმართველობა. თუ როგორი უნდა იყოს მამულის სამმართველოსა და ქალაქის თვითმმართველობის ურთიერთობა, ეს ჩვენ გავარკვიეთ მოხსენებაში, რომელიც მოისმინა და ერთიანად მოიწონა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მესამე ყრილობამ. ჩვენი მოხსენებისა და ყრილობის დადგენილების მთავარი აზრის თანახმად მამულის სამმართველოს უნდა შერჩეს მხოლოდ სახელმწიფო ქონებათა და წარმოებათა ბატონ-პატრონობა და ის უნდა გადაეცეს სახელმწიფო მეურნეობის დაწესებულებათ ქალაქს კი, როგორც რესპუბლიკის მმართველ და თვითმმართველ ერთეულს, უნდა სავსებით გადაეცეს ის მუნიციპალური საჯარო უფლებების მმართველობის დაწესებულებანი და საგნები, ურომლისოთაც მისი არსებობა ყოვლად წარმოუდგენელია.

ეხლა, ამ მოხსენებაში, ჩვენ უნდა გავარკვიოთ რას წარმოადგენს საკურორტო დირექცია და როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება ქალაქის თვითმართველობასთან. საკურორტო დირექცია განაგებს მყ ვე წყლის აბანოს, პარკს, საავადმყოფოს, ამბულატორიას და სხვა ბალნეოლოგიურ დაწესებულებებს, იღებს ახლო მონაწილეობას მამულის სასტუმროების საქმის მოწესრიგებაში და მეთვალყურეობას უწევს სანიტარულ საქმეებს: ქუჩების დაწმენდას, ბინის სისუფთავეს, მის ხელშია აგრეთვე სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების ექიმობა და წამლობა. დირექციაში შე-

დის მარტო მთავარი ექიმი, რომელიც ვალდებულია განაგოს ეს საქმეები მამულის გამგესთან შეთანხმებით არა მარტო ბორჯომში, არამედ მთელ ბორჯომის რაიონში, რომელშიაც შედის ბორჯომის გარდა: ახალ-დაბა, წაღვერი, პატარა და დიდი ცემი, ბაკურიანი და ციხის ჯვარი. მისი მუდმივი ბინადრობა არის ბორჯომში. ეს დირექცია თავის სამოქმედო სფეროში ახდენს განკარგულებას, მისი განხორციელება კი ევალება მამულის სამმართველოს. როგორც აქედან სჩანს, ეს დირექცია უნდა ყოფილიყო ცალკე განყოფილება მამულის სამმართველოსი და ყველა მისი განკარგულება უნდა გატარებულიყო ამ სამმართველოს სახელით, მაგრამ სინამდვილეში ეს ისე არ არის, ფაქტიურათ დირექცია თავის სამოქმედო სფეროში ეწევა განკარგულებას და მეთვალყურეობის განხორციელებას თუ ერთი განმკარგულებელია, მეორე უნდა იყოს გამტარებელი, შემასრულებელი და როცა ორივე განმკარგულებელია, მაშინ მმართველობაში იქნება ყველა წესრიგის დამასამარებელი დუალიზმი. თვითმპყრობელობის დროს, როცა ცენტრი ზევიდან დანიშნულ მოხელეთა საშუალებით მართავდა ადგილობრივ საქმეებს, როცა განკარგულებათა გატარებაც თვითმპყრობელური წესით ხდებოდა ზევიდან ბრძანებით, ჩინოვნიკურათ, მაშინ კურორტების მმართველობაც ბიუროკრატიულ-მონარქიული იყო. ამ წესით რომ საქმე არ კეთდებოდა და ფუჭდებოდა, რომ საკურორტო საქმეები განვითარების მაგიერ იმარხებოდა რუსეთში, ამის ყველაზე უფრო მჭერმეტყველი დამამტკიცებელი საბუთია 1914 წ. 24 აპრილის კანონი. ამ კანონით სახელმწიფო სათათბირომ შესამჩნევლათ შეაკვეცა თვითმპყრობელური სისტემა სამკურნალო ადგილების მართვისა, და გააფართოვა თვითმმართველობის კომპეტენცია ამ საქმეში. კანონის მე-13 მუხლი სანიტარული დაცვის გამგებლობას ერთიანათ აკისრებს ქალაქის და ერობის თვითმმართველობებს, მაგრამ სათათბიროს დადგენილება ხომ სახელმწიფო საბჭოს და მეფეს უნდა დაემტკიცებინა, ამიტომ მის დადგენილებაში დემოკრატ. ხაზი სწორეთ ვერ იქნებოდა გატარებული და ეს ასეც მოხდა. კანონი ერთის მხრივ თითქოს ჩამოშორდა თვითმპყრობელობას, ამით მან დაჰგმო თვითმპყრობელური სისტემა კურორტის მართვის საქმეში, მეორე მხრივ გააფართოვა ამ საქმეში თვითმპყრობელობის უფლება, სადაც ასეთები არ იყო, იქ შექმნა სასანიტარო კომისია სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან. ამით მან აღიარა დემოკრატიზმი, მაგრამ ერთი და იგივე უფლება მან მიანიჭა ორ სხვადასხვა დაწესებულებას და ვით კიდევ უფრო დააკანონა დუალიზმი მართვა-გამგეობაში. წინათ მონარქიული მონიზმი ღუპავდა კურორტებს, რადგანაც მათი გამგებლობა ადგილობრივ მცხოვრებთა წინაშე უპასუხისმგებლო პირებს ჰქონდა ჩაბარებული. შემდეგ მას გაუჩნდა ორი პატრონი, რომელთაგან არც ერთი არ იყო ხალხის წინაშე პასუხისმგებელი და მმართველობის ასეთმა დუალისტურმა სისტემამ კიდევ უფრო უარეს პირობებში ჩააყენა კურორტის საქმე. ჩვენთვის მიუღებელია როგორც მონარქიულ ბიუროკრატიული მონიზმი, ის ლიბერალური დუალიზმი. ჩვენს მმართველობაში სასტიკათ უნდა იყოს დაცული დემოკრატიული მონიზმი. დემოკრატიულ რესპუბლიკას არ უნდა ჰყავდეს დანიშნული ჩინოვნიკები და ადგილობრივ საქმეთა მმართველობა ერთიანად ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ არჩეულ ორგანოს ე. ი. თვითმართველობის უნდა ებაროს.

1915 წ. 7—11 იანვარს პეტროგრადში შესდგა სახელმწიფო სამკურნალო ადგილების გასაუმჯობესებელ ზომების გამოსამუშავებლად ყრილობა, რომელმაც სხვათაშორის გამოიტანა დადგენილება, რომ კურორტები გადასცემოდენ ქალაქის და ერობის თვითმართველობებს. (იხ. Энциклопедическій словарь Брокгауза—Эфима ст. 23 стр, 728) მაგრამ ამის განხორციელება მას არ დასცალდა. ეხლანდელ ბოლშევიკურ რუსეთში თვითმართველობა ხომ სრულებით უარყოფილია. განსაკუთრებით საყურადღებო მხარე 24 აპრილის კანონისა იმაში მდგომარეობს, რომ ის სცნობს რა რომელიმე ადგილს საზოგადო მნიშვნელობის სამკურნალო ადგილათ, ხაზავს ამ ადგილს და აწესებს სამთო და სასანიტარო დაცვის ოლქს. ეს წესი პირველად შემოღებული იყო საფრანგეთის კანონმდებლობაში (1848—1856 წ.წ.) შემდეგ ამ გზას დაადგა გერმანია და ევროპის სხვა სახელმწიფოებიც. ეს ძირითადი კანონი ტარდება ცხოვრებაში ადგილობრივი მმართველობის იმ კომპეტენციის მიხედვით, რაც მინიჭებული აქვს ადგილობრივ თვითმართველობას თუ მმართველობას ცენტრის მიერ, სხვა საქმეებშიც თვითეულს სახელმწიფოში ძირითად სახელმწიფო კანონდებლობასთან შეთანხმებით. ევროპის კურორტებს ის ბეჭედი აზის, რომელიც ახასიათებს ძირითად მართვა-გამგეობას იმ სახელმწიფოისა, რომელსაც ესა თუ ის კურორტი ეკუთვნის. ჯერ არც ერთ სახელმწიფოში არ არის საქართველოსებური დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც ადგილობრივად არც ერთი ზევიდან დანიშნული მოხელე არ ჰყავს და

სადაც ადგილობრივი მმართველობა თვითმართველობას აქვს მინდობილი, მაშასადამე, არც ერთი სახელმწიფო არ გამოგვადგება ჩვენ მაგალითად.

როგორ უნდა მართავდეს რესპუბლიკა თავის კურორტებს, ეს ჩვენ გავარკვიეთ [illegible] მოხსენებაში, რომელიც სავსებით დაადასტურა აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მესამე ყრილობამ. ამ მოხსენებისა და დადგენილების აზრით საქართველოს კურორტებს უნდა განაგებდეს ადგილობრივი თვითმართველობა და სხვა რომელიმე ორგანო ამ სფეროში ცენტრალურ მთავრობას არ უნდა ჰყავდეს ადგილობრივად. ამ აზრს აგვირგვინებს აგრეთვე ძირითადი კონსტიტუციის მე 10 ე თავი, სადაც ნათქვამია: „ადგილობრივი თვითმართველობა არის იმავე დროს ადგილობრივი მმართველობის ორგანო და განაგებს ყოველ ადგილობრივ მმართველობის, მეურნეობის და კულტურულ საქმეებს". მოგვყავს ს. დ. ყრილობის მიერ შედგენილი ტექსტი და მართლაც, კურორტის მოწყობა ხომ ეს ერთიანად სანიტარიის საკითხია. ფართო, ნათელი, მოკირწყლული და სუფთა ქუჩა, ნათელი და ჰიგიენურათ მოწყობილი ბინა, სიბინძურის გამწმენდი არხი, კანალიზაცია, საავადმყოფო, აფთიაქი, პარკი, კურზალი, რომელიც შეიცავს და სავსებით ამოსწურავს კორორტს. ეს ხომ ერთიანათ და უცილოდ ადგილობრივი საქმეებია და ეძლევა მათ საზოგადო მნიშვნელობა იმდენათ, რამდენათაც ესა თუ ის ადგილი არის კურორტი. აქ იმდენათ მნიშვნელოვანი და საინტერესო ის არ არის, თუ ვის ეკუთვნის ან რამდენათ სახელმწიფო მნიშვნელობისა არის ესა თუ ის კურორტი, რამდენათაც ის, თუ ვის შეუძლიან უკეთ მოვლა ამ კურორტისა. ადგილობრივ თვითმართველობის ადგილობრივ საქმეში პირდაპირ დაინტერესებულს მცხოვრებთაგან შემდგარს და არჩეულს თუ ცენტრიდან დანიშნულ მოხელეებს აქ სიმძიმე იმდენათ საკუთრებაში არ არის, რამდენათიც მის მოვლაში და მართვა გამგეობაში. როგორც არ დარჩება სხეული ცოცხალი, თუ მას ამოგლეჯთ სულს, ისე არ შეიძლება თვითმართველობას მოაშოროთ სანიტარია და მაშასადამე ამ შემთხვევაში მთელი საკურორტო საქმეები იგივე სანიტარული საქმეებია, ეს ერთიანათ და უცილოდ ადგილობრივი საქმეებია და მისი გამგებლობა მხოლოდ ადგილობრივ მმართველ ორგანოებს შეუძლიანთ. საკმარისია ოდნავ მაინც გაეცნოთ ერობის შემოქმედების ისტორიას რუსეთში და ადგილობრივ თვითმართველობების ყველა ქვეყნებში, რომ დარწმუნდეთ თუ რამდენათ ადგილობრივი თვითმართველობის შექმნა გამოიწვია განსაკუთრებით სანიტარიის საკითხმა, რასაკვირველია, ამ კითხვის ფართო მნიშვნელობით და რადგანაც სანიტარიის მოწესრიგებამ მოითხოვა ადმინისტრატიული ძალა-უფლება ერთ ნაწილში იძულებას დამყარებული, ამიტომ თვითმპყრობელი მეფეც კი იძულებული შეიქნა მიენიჭებინა თვითმართველობისათვის საჯარო უფლება განსაკუთრებით ამ სფეროში. (ძველი წყობილების თვითმართველობებს ჰქონდა უფლება გამოეცა სავალდებულო დადგენილება სანიტარულ დაცვის საქმეში).

ამნაირად, კურორტის შინაარსი არის სანიტარია, ადგილობრივ თვითმართველობის მოღვაწეობის შინაარსი უმეტესად არის სანიტარია, ამიტომ კურორტიც ერთიანად ადგილობრივი თვითმართველობის ხელში უნდა იყოს. ეს არის ერთად ერთი ფორმა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის შენობის შესაფერი, აქ ორი აზრი ყოვლად დაუშვებელია.

ბორჯომის ქალაქის მოურავი ვიქ. ლლონტი.

(შემდეგი იქნება)

## კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

(23 იანვრის სხდომა).

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

იხსნება კამათი კონსტიტუციის მე 3-ე თავის—მოქალაქის უფლებათა შესახებ.

**ს. დადიანი** (ს. ფ.) ეხება ამ თავის რამოდენიმე მუხლს და აკრიტიკებს მათ; მისი აზრით ძლიერ დიდი უფლებები აქვს მინიჭებული ადმინისტრაციას და ამას მოჰყვება სხვადასხვა ძალადობა და ბოროტ-მოქმედებანი. მიუღებელია აგრეთვე მუხლი იმის შესახებ, რომ მშვიდობიანი გაფიცვა ნება დართულია, რადგან ყოველივე გაფიცვას თანა სდევს ექსცესები, და მაშასადამე ეს მუხლი ფაქტიურათ აუქმებს გაფიცვის თავისუფლებას.

ორატორს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე გაფიცვის უფლება მიენიჭოს აგრეთვე სახელმწიფოს მოსამსახურეებსაც, რადგანაც ისინიც შეადგენენ მუშათა კლასის ნაწილს. საერთოდ მთელ თავს ორატორი მისაღებად სთვლის.

**ივ. გობეჩია.** (ს.-რ.) ეს თავი საყოველთაოდ მიღებულ დებულებებს შეიცავს, მაგრამ შიგ რამდენიმე ისეთი მუხლია შეტანილი, რომ მთელი თავი მიუღებელია. ორატორი განსაკუთრებით აკრიტიკებს ადმინისტრაციის დიდ უფლებებს კრების კანონიერების გამორკვე-

---

*) რედაქცია ადასტურებს, რომ ხსენებული ამონაწერი არ ეხება ამხ. ი. ბასილაიშვილს. რედ.

*) ამ საკითხის შესახებ რედაქცია მოწინააღმდეგე შეხედულებასაც დაუთმობს ადგილს. რედ.

ვაში. ეს, მისი აზრით, შეიქნება წყაროთ ერთნებობისა და ადმინისტრაციის მხრივ ამ უფლებების ბოროტად გამოყენებისა.

ორატორი კრების თავისუფლების ფაქტიურად გაუქმებათ სთვლის იმ მუხლს, რომლის ძალითაც შეიარაღებული კრება არაკანონიერად ცხადდება მისი აზრით, ეს განუხორციელებელია, ქართველ ხალხს მუდამ აქვს თან იარაღი, მაგ. [illegible]ნეთში—ყველა იარაღს ატარებს. ამიტომ ეს მუხლი აუქმებს კრების თავისუფლებას.

ორატორი წ ნაალმდეგია კონსტიტუციონურ გარანტიების დროებით შეჩერების და ამ დროს სიკვდილით დასჯის შემოღების.

(26 იანვრის სხდომა.)

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

გრძელდება მე ჯელობა კონსტიტუციის მე-3 თავის შესახებ.

გ. გვაზავა (ნ. დ.) არკვევს დიდ მნიშვნელობას თავისუფლების პრინციპისას; ეს—ქვაკუთხედია ადამიანის ძალთა განვითარებისა, მაგრამ უნდა დაიდოს საზღვარი პიროვნების უსაზღვრო თავისუფლებას, და ეს საზღვარი დაიდება იქ, სადაც ერთმანეთს ეხლებიან პიროვნული და ეროვნული ინტერესები.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მთავარი კონსტიტუციონური გარანტია—კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, რომლიდანაც გამომდინარეობენ ყველა დანარჩენი თავისუფლებანი, ამ თავში არ არის შეტანილი, ეს კი მეტად ვნებს მის მთლიანობას.

მისი აზრით უნდა შეიცვალოს მუხლი უცხოელების შესახებ. შეუძლებელია უცხოელებსაც ყველა ის უფლებები მივსცეთ საქართველოში, როგორიც ჩვენ მოქალაქეთ აქვთ. ეს მუხლი, რათა არ შეიქნეს უფლებრივი კოლიზია, უნდა შეიცვალოს შემდეგნაირათ: უცხო სახელმწიფოს მოქალაქე სარგებლობს საქართველოში იმავე უფლებებით, როგორიც აქვს მინიჭებული საქართველოს მოქალაქეს მის (ამ უცხოელის) სამშობლო ქვეყანაში.

პ. ბერძენიშვილი (ს. დ) ჩვენ ფრაქციასაც სურს შესწორების შეტანა, მაგ. 42 მუხლში—ყოველივე მშვიდობიანი გაფიცვა ნებადართულია.—ეს ცუდათ შეიძლება იქნეს გამოყენებული. აგრეთვე მიუღებელია დამატება—თუ კი იგი არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. ამას ვერ დავეთანხმებოდით, რადგანაც ეს წინდაწინვე მოსპობს გაფიცვის თავისუფლებას. მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ აგრეთვე სხვა ფრაქციების მოსაზრებებსაც—მაგ. იმის შესახებ, რომ გაფიცვის უფლება მიენიჭოს სახელმწიფო მოსამსახურეებსაც. თუ კი ეს მიღებული იქნება, მაშინ ამას სხვაგვარი კვალიფიკაცია მიეცემა, — ის რომ ყველას ექნებოდა გაფიცვის გამოცხადების უფლება: და მაშინ ყველა ჩაიდებდა მასში თავის აზრს და ეს კ წარმოუდგენლათ გაართულებდა საკითხს.

შემდეგ ორატორი ვრცლად ეხება ამ საკითხის ორი მხარის—გაფიცვების უფლების და კავშირების უფლების ისტორიას და აღნიშნავს იმ სხვადასხვა სტადიებს, რომლებიც განვლო გაფიცვების და კავშირების თავისუფლების პრინციპმა მე 19 საუკუნის განმავლობაში.

ჩვენ გვაინტერესებს ის, თუ როგორ არის ეს საკითხი ეხლა გადაწყვეტილი. აქ არის სხვადასხვა მაგალითები, მაგ. ჟენევის კანტონში და ახალზელანდიაში. იქ სახელმწიფო სპობს გაფიცვას და წინადადებას აძლევს მუშებს მიმართონ სამედიატორო სასამართლოს სადავო საკითხების გადასაწყვეტათ, და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ მათ მიმართონ გაფიცვას, თუ სამედიატორო სასამართლო ვერ გამოიტანს რაიმე დადგენილებას. ახალ ზელანდიაში მაგ. სრულიად არ არის გაფიცვა იმიტომ, რომ იქ მუშები სხვანაირად გამოდიან თავის კლასიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დროს და არ მიმართავენ გაფიცვას. საფრანგეთშიც სწორეთ ა ევე [illegible] საკითხს გადაწყვეტას.

ჩვენ კი საქმოთ გვგონია, რომ ითქვას ჩვენს პროექტში მუშათა გაფიცვა თავისუფალია. მაგრამ აქ რომ დაემატოს სახელმწიფოს მოსამსახურენიც—აქედან ბევრი გართულება წარმოსდგება—შეიძლება მაგ. გაიფიცნენ საპყრობილის დარაჯები. და მაშინ კი გაიქცნენ ტუსაღები, ან და გაიფიცოს ჯარი. ასეთი რამ სახელმწიფოში დაუშვებელია.

შეუძლებელია აბსოლიუტური თავისუფლება გაფიცვებისა, ეს ყველაზე უკეთესად ამ ბოლო დროს შეიგნეს უკიდურესმა მემარცხენეებმა—ბოლშევიკებმა, მათ სრულიად მოსპეს გაფიცვების თავისუფლება. ამიტომ ეს საკითხი —ლიბერალიზაცია ამ უფლების და სახელმწიფოს მოსამსახურეების საკითხი— უნდა გადაწყდეს ცალკე კანონმდებლობაში ნორმების გამომუშავებით. ეს ჩვენი საერთო წინადადება კი კლასიურ საკითხს—გაფიცვების შესახებ—სავსებით და სრულიად სწყვეტს.

რაც შეეხება თვით ამ თავისუფლების გამოყენებას მუშების მიერ—ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მუშები შესაფერისად გამოიყენებენ მას, თუ მოითხოვს საჭიროება—თვით მუშები შეკვეცენ თავის თავს და არ გამოაცხადებენ ზოგიერთ შემთხვევებში გაფიცვებს—მაგ. სავათმყოფოებში მომუშავეები, აფთიაქების მუშები და სხ., რომელთა მიერ მუშაობის შეწყვეტა დიდათ დააზიანებ ყველა მცხოვრებთ და აჰოცავს სრულიად უდანაშაულო ხალხს.

ეს საესებით მისაღებია. აბსოლიუტური თავისუფლება არ არსებობს, ჩვენ ვყოფნით მხოლოდ საერთო დებულებას და მისი დეტალიზაცია კი კანონმდებლობითი წესით მოხდება, რასაც თვით მუშები შეუწყობენ ხელს თავისი შეგნებით და სიმტკიცით. (ტაში).

მიხ ენუქიძე თავის უკანასკნელ სიტყვაში ეკამათება ერერებს და იცავს კონსტიტუციური გარანტიების დროებით შეჩერებას განსაკუთრებულ პირობებში. განსაკუთრებულ პირობებში დასაშვებია აგრეთვე სიკვდილით დასჯა, რადგანაც მას სხვა მნიშვნელობა აქვს ხალხზე ასეთ არევ-დარევის დროს, იგი ძლიერ იარაღათ ხდება და ამიტომ არ არის მიზან შეწონილი, რომ პარლამენტს არ მიეცეს საშუალება ამ იარაღის მოხმარებისა. ამბობენ სიკვდილით დასჯა ბარბაროსული საშუალება არისო, მაგრამ უფრო ბარბაროსულია თვით ომი. ჩვენ ამ ზომას მხოლოდ მიზან შეწონილობის თვალსაზრისით უნდა შევხედოთ, და აქ კი ვხედავთ, რომ ეს საშუალება ხანდახან დიდ მნიშვნელობას ჰლ ბულობს. ამას ამტკიცებენ სხვათა შორის ევროპის კრიმინალისტები, თუმცა კი საბოლოოთ საკითხი არ არის გ მორკვეული. ამიტომ ეს იარაღი პარლამენტს უსათუოთ უნდა დავუტოვოთ.

შემდეგ მომხსენებელი აკრიტიკებს ესერების პროექტს და ამტკიცებს, რომ ის არ ებითად სახელმწიფოს დარღვევას წარმოადგენს. მომხსენებელი უპასუხებს აგრეთვე დეპ. გვაზავას და აღნიშნავს, რომ ის თავისუფლება, რომლის შესახებაც გვაზავამ ილაპარაკა—კერძო საკუთრების თავისუფლება—შემდეგ არის მოთავსებული და შეტანილი კონსტიტუციაში.

მომხსენებლის სიტყვის შემდეგ კენჭი ეყარა კონსტიტუციის მესამე თავს, თავი დამფუძნებელმა კრებამ მიიღო— ესერებმა ხმა წ ნააღმდეგ მისცეს.

ს. ჯაფარიძე აკეთებს მოხსენებას კონსტიტუციის მეოთხე თავს—პარლამენტის შესახებ. მომხსენებლის აზრით, სახელმწიფო ძალა უფლების საკითხი არის ფოკუსი სახელმწიფო წყობილებისა და ამის ერთ ნაწილს შეადგენს პარლამენტის საკითხი. საკონსტიტუციო კომისიამ საუკეთესოთ სცნო ერთპალატიანი პარლამენტი და უარჰყო როგორც ზედა პალატა ისევე პრეზიდენტი. ეს ორი სხვა ინსტიტუტი სრულიად მიზანშეუწონელია. ზედაპალატის ისტორიულად წარმოშობის მიზეზი იყო—ისტორიის ავანსცენაზე მასების გამოსვლა და მათ შესაკავებლად შექმნეს სხვადასხვა ზედა პალატები, სენატები და სხვა სისტემები. ეს ზედაპალატა მუდამ იყო ცხოვრების ახალმოთხოვნილებათა განხორციელების შემფერხებელი და მისი სიმხნე ძლიერ კარგათ მოჩანს ჩეხო-სლოვაკიის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

ორატორი ეხება ამ თავის დამუშავების პროექტში და სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ესერების პროექტის პარალელური თავის სავსებით არის გადმოწერილი ამ პროექტის მეოთხე თავიდან, მხოლოდ შეცვლილია სახელები. ამის შემდეგ ორატორი ვრცლათ არკვევს ყოველივე მუხლს ამ თავისას. გაჰყავს ანალოგიები სხვადასხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებთან და სთხოვს დამფუძნებელ კრებას მის მიღებას.

კამათი შემდეგ სხდომისათვის გადაიდო.

## მასწავლებელთა ყრილობის გამოძახილი

(წერილი ხონიდან)

იანვრის 30 შესდგა ადგილობრივ ფილიალის მასწავლებელთა ყრილობა, რომელსაც უნდა მოესმინა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის მეორე ყრილობის დელეგატების მოხსენება. კრებას დაესწრო 70 მეტი მასწავლებელი. მოხსენების მოსმენის შემდეგ კრება შეუდგა კამათს, რომლის დროს გამოირკვა სამი მიმდინარეობა: ერთი—ს. დემოკრატების, რომელთაც მოხსენება მიიღეს ცნობად და გადასწყვიტეს მორიგ საკითხზე; მეორე მიმდინარეობას იცავდნენ ფედერალისტები, რომელნიც პირზე დორბლით ამტკიცებდნენ, რომ ყრილობის მუშაობა დაღუპვა და არარად აქციეს მენშევიკებმა, არ მოგვახდენინეს გაფიცვა, არ მოგვცეს ნება მთავრობას შევებრძოლებოდით, შევარყიეთ მისი ციხე სიმაგრეო და სხ. ჩვენაო, გაიძახოდნენ ისინი, მთელ ქვეყანას დავანახვეთ, რომ მენშევიკების ხელში ჩვენი ერის განათლება დაღუპვის გზაზე დაქანდა, აშკარა ვყავით, რომ სკოლა კატასტროფიულ პირობებშია, მოვსპეთ მინისტრის ამხანაგის ცინიკური ვითომდა დასაბუთებული მოხსენებაო და სხ. და ის და დაგვრჩენოდა, რომ ყოველივე ამას მისცემოდა ლოღიკური დასასრული: სკოლის დამღუპველ სამინისტროსათვის პროტესტი გამოგვეცხადებინა გაფიცვის სახით, გავეყვანეთ კიდეც ეს, მაგრამ... (ოჰი, საშინელმა!) მენშევიკებმა უკან წაგვაღებინეს ყოველივე, ამიტომ ამ კრებამ სასტიკი პროტესტი უნდა გამოუცხადოს მენშევიკებს და დაგმოს მათი საქციელიო. მესამე გზას დაადგნენ ბოლშევიკები: ისინი ამბობდნენ დაგმობია მენშევიკების მოქმედება, მაგრამ არა ნაკლებ დასაგმობია ფედერალისტებიცა, რომლებმაც ჯერ სწორი ნაბიჯი გადადგეს—მთავრობას გაფიცვას უცხადებდნენ, ხოლო მერე შეირყენ და უკან დაიხიესო, ამიტომ ორივე ჯგუფს სასტიკი პროტესტიო.

კენჭის ყრის დროს გამოირკვა, რომ ხმის უმეტესობით არც ერთი წინადადება არ გადიოდა, მაშინ ფედერალისტები შეუერთდნენ ბოლშევიკებს და ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა ისეთი რეზოლიუცია, რომელიც კიცხავს, როგორც მენშევიკებს, ისე ფედერალისტებს.

ვუკვირდები ფედერალისტების მოქმედებას და არ ვიცი ვისთან გაქვს საქმე: პოლიტიკურ ბალღებთან, თუ სერიოზულ ადამიანებთან? გაგონილა, რომ კაცი თავის თავს თავისივე ხელით იმათრახებდე? მენშევიკების, თუ გინდათ, ჯავრი ქონდათ, მაგრამ თვიანთი თავიც რომ მიაყოლეს, ეს რაღა იყო? ეს ხალხი ისე დაუძინებელია მენშევიკებისადმი სიძულვილს, რომ წეტის სიბოროტით რა ქნან არ იციან და ეგვანებიან იმ გველს, რომელიც უძლურის სიბრაზით თავბრუ დახვეული თავისივე სხეულს თითონვე იზხამავს და კბენს. ხონში გაგრძელდა ის წაქეზ უკეკ ქარობა, რომელსაც ფედერალისტები ეწეოდნენ თფილისში ყრილობაზე, სადაც არც ერთ მათ ნაბიჯს არ ქონია საქმიანი ხასიათი და მხოლოდ წუთიერ სულიერ სიმპატია-ანტიპატიაზე იყო აშენებული.

ამასთანავე აღსანიშნავია ერთი გარემოება: ფედერალისტები მენშევიკებისა და საზოგადოდ მთავრობის ჩაწიხვლას ვერსად მარტო საკუთარის ძალებით ვერ ახერხებენ და ყველგან ამ სასახელო საქმეში ეხმარებიან საქართველოს დემოკრატიის აშკარა მტრებს და ორგულებს: თფილისში დაშნაკელების და ესერების ხმებით გაჰქონდათ ლელო, ხონში კი—კომუნისტებთან ერთად დაგმეს მენშევიკების პოლიტიკა. ეს გზაკვალ დაბნეული ხალხი ჩვენთან ბრძოლაში საშუალებას არ არჩევს. ოღონდ მთავრობას ავნოს და ეშმაკსაც გაუწვდის ხელს. კერძოდ ხონის ფედერალისტები დიდი ხანია შეთანხმებულნი არიან ადგილობრივ ბოლშევიკებთან და ისე დევსმიან თავს. მათი ერთი პასუხისმგებელი მუშაკი—ჩახუნაშვილი (ქალაქის გამგეობის წევრია) უკვე სავსებით გადაიბარგა ბოლშევიკების ბანაკში, ეს მან დაამტკიცა აწ. სეით დევდარიანთან საჯარო კამათის დროს, ამავე ჩახუნაშვილს მთელი ორგანიზაცია პარტიულ ყრილობაზედაც კი გზავნის—მათის ლამე, მისს ხმას ყველანი იზიარებენ... აი რომ, დღეს უკვე აშკარაა, რომ ხონის ფედერალისტები და ბოლშევიკები ერთად მოქმედებენ ჩვენი დემოკრატიის საწინააღმდეგოთ. ამ უფლებას შესაფერი ყურადღება უნდა მიაქციოს ხონის მშრომელმა ხალხმა და საკადრისი პასუხიც გასცეს მათ მომავალ საქალაქო არჩევნებში.

ფედერალისტური ლაშქრის ატროკება მარტო ხონში არ მოხდება, ისინი, ალბად, სხვაგანაც დაუწყებენ თვალის ქნევას კომუნისტებს, ალბად, სხვა ადგილებშიაც მოხდება ამ ორი ჩვენში უნიადაგო ჯგუფის ერთად გასერნება. ხომ იცით წყალ წალებულთა ფსიქოლოგია,—ისინი ყოველთვის ხავსს ეჭიდებიან... ამიტომ ყველგან ყურის სიმახვილეა საჭირო: ფედერალისტები ერთხელ კიდევ უნდა ჩადგნენ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების უკანა კარებში.

ხონელი.

## მუშათა შორის

ნავთლუღის რაიონი. 26 იანვარს შესდგა ნავთლუღის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. დღის წესრიგში იდგა ორი კითხვა: მოხსენება რაიონულ გამგეობის ერთი წლის მუშაობის შესახებ და წინანდელ საზოგადო კრების დადგენილება მანუფაქტურის მიუღებლობის შესახებ. რაიონული გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სიო ჟღენტმა, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას ყველა ის პირობები, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა გამგეობას და თუ რისი გაკეთება შეძლო მან. კრება ერთხმად ღებულობს შემდეგ დადგენილებას: ნავთლუღის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ მოისმინა რა მოხსენება რაიონულ გამგეობის ერთი წლის მუშაობის შესახებ, დაადგინა: არსებულ პირობებში კრებას გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლათ მიაჩნია და გადადის მორიგ საკითხზე. მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ცენტრალური გამგეობის წევრმა ამხ. ბ. ცენტერაძემ, რომელმაც გააცნო კრებას თუ რატომ ვერ მოხერხდა მანუფაქტურის ყველა რაიონებში დარიგება. ის მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ თფილისის მუშა მოსამსახურეებს ეს მანუფაქტურა დაურიგდათ ცენტრალურ გამგეობის შეუკითხავათ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: რადგან დღის სახელმწიფო განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება, რომელიც საჭიროებს ყოველივე თავი უფლების მოყვარულ მოქალაქის დახმარებას და საჭიროების დროს ფეხზე დგომას, კრებამ დროებით თავისი პირადი ინტერესები სახელმწიფოს ანაცვალა, მხოლოდ კატეგორიულად მოითხოვს თვით მთავრობისაგან, რომ ის წონასწორობა, რომელიც დაირღვა ფართოლეთლობის განაწილებაში და ზოგიერთმა ორგანოებმა გაცალკევა მუშები ერთი მეორისაგან და ამით შექმნა დიდი უკმაყოფილება რკ. გზის საერთო ოჯახში, იქნას სასტიკათ გამოძიებული და დამნაშავე პასუხისგებაში მიცემული, თუ ასეთი აღმოჩნდება. ამასთანავე კრება მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ ვიყოთ დაკმაყოფილებული სხვა მუშებთან ერთად, თუ არა ფართლეულობით, მაშინ ბაზარზე არსებულ ფასების და გვარით ფულით; თუ ჩვენდა სამწუხაროთ ეს ჩვენი მოთხოვნილება ვერ იქნა დაკმაყოფილებული ერთი კვირის განმავლობაში, ჩვენ ჩვენ ვე უკიდურესი მდგომარეობით იძულებული ვიქნებით მუშაობის თავი დავანებოთ. მაგრამ ამავე დროს ვაცხადებთ ჩვენს თავს გ წავაცხადოთ, რომ ყოველივე სამხედრო ხასიათის მოძრაობა იქნება უზრუნველყოფილი. ამ ვე დროს კრება იმედოვნებს, რომ ჩვენი ეს კანონიერი მოთხოვნილება იქნება დაკმაყოფილებული ნაჩვენებ ვადაში და საჭირო არ იქნება ის უკიდურესი ზომა როგორიცაა გაფიცვა. ამასთან ერთად კრება ირჩევს სამი კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომელსაც ევალება ამ საკითხზე მთავრობასთან მოლაპარაკება.

ა ყვავილაშვილი.

ლეჩხუმის მაზრის ერობის მოსამსახურეთა შორის. 21 იანვარს შესდგა ერობის თან მშრომელთა კავშირის წევრთა საგანგებო კრება. კრებაზე მონაწილეობდენ მაზრის ყველა დარგის მოსამსახურენი. დღიურ წესრიგში იყო: 1) მოხსენება კავშირის გამგეობისა, 2) ეკონომიური მდგომარეობა, 3) კავშირთა-კავშირის შედგენა, 4) მუშათა მაგიდა, 5) საუსტო კომისია, 6) კავშირის გამგეობის ორი წევრის არჩევა. გამგეობის მოქმედებაზე გამგეობიდან გამოირკვა, რომ კავშირი ვერ სდგას თავის სიმაღლეზე და გამგეობის მოქმედებებს ხელს არ უწყობს. ამის გამო კრება გამოსთქვამს მწუხარებას. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია მოხსენებამ, რის შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც ეკონომიურ მდგომარეობაზე კრება მოითხოვს—მიემატოს მოსამსახურეთ ჯამაგირის მიხედვით 50—100 პროცენტამდე, მომატება მოხდეს ნატურით.

კავშირთა კავშირის დაარსების შესახებ კრება ადგენს: დაარსდეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიდაც შევლენ ყველა დარგის მოსამსახურეთა თითო წარმომადგენელი, რომელიც მოაწესრიგებს კავშირთა-კავშირის დაარსების საქმეს.

მე-4 და მე 5 კითხვა გადაჩრა მიენდო ახლად არჩეულ საორგანიზაციო კომიტეტს. 6) გამგეობის წევრებათ არჩეულ იქნა გ ხეცურიანი და ა. გოლეთიანი.

ლეჩხუმელი გლეხი

## ფრონტის ფონდი

(გაგრძელება)

220) ლევან ეფრემისძე ტატატოვისაგან შამპანიური ღვინო ორი ბოთლი. კიევის ნალივკა 2 ბოთლი, არაყი 2 ბოთლი, კონიაკი ოთხი ბოთლი, 221) ამხ. ტირინტყევისაგან არაყი 25 ბოთლი, 222) სარქ ს ქამალოვისაგან, ძეხვი 2 გირვანქა, 223) არამ არუთინის ძე გეორქოვისაგან სარდინკები 100 კოლოფი, 224) ძმ თა ილ ვ ნკებისაგან მაჯის ხელთათმანები 40 რწყ. 225) კალისტრატე ცინცაძისაგან თხილი 1 ფუთი, 226) ენფენჯიანცის ქარხნის მუშებისაგან პაპიროსი 40,000 ცალი, 227) ა. ი. პაპ ნდოპულოსაგან ასანთი 500 კოლ. 228) სიმონ ვორონოვისაგან თვალების მაზი 2 გირვანქა, 229) მიულმანის სათვალეების მაღაზიიდან ავტომობილის სათვალ. 10 წყვ. 230) სავაჭრო სახლი ძმ. სეილანოვებისაგან პაპიროსი 100,000 ცალ. 231) თ მბაქოს ფაბრიკა საფაროვისა პაპიროსი 100 000 ცალი, 232) თამბაქოს ფაბრიკა „ელოვ ნი" თამბაქო ორი ფუთი 20 გირვანქა. 233) სერგო ავეტისძე ვართანოვისაგან სარეცხი საპონი 16 გირვანქა, თამბაქო 10 პაჩკა, ასანთი 10 კოლოფი, 234) კავკასიის ათუთიაქართა და ექსპორტის აქც. საზოგადოებისაგან სარეცხი საპონი ორი ფუთი, ბელიკები ოცი წყვილი, 235) ღვინის ამხ. „არგო"-საგან კონიაკი 100 ბოთლი, არაყი 50 ბოთლი, პორტვეინი 50 ბოთლი, 236) ვასილ ბუაძისაგან ყაბალახი შალის ერთი ცალი, 237) ლევანდოვის გიმ. მოწაფეებისაგან პარკები 18 ცალი, ასანთი 51 კოლოფი, პაპიროსები 30 პაჩკა, ხელის საპონი 3 პაჩკა, ფირნატკები 5 წყვილი, ნარმა 5 არშინი, თუთუნი 3 პაჩკა, ჩაი ¼ გირვანქა, 238) ღვინის საწყობ ჩაჩიბაიასაგან ღვინო 16 ბოთლი, 239) თამბაქოს ქარხანა „კავკასი" თამბაქო 1 ფუთი და 10 გირვანქა, 240) სესიევებისაგან სარეცხი საპონი 1 გირვანქა, პაპიროსი 14 კოლოფი, ასანთი 6 კოლოფი, მუშტუკი 3 ცალი, წინდა 16 წყვილი, ხელთათმანი 16 წყვილი, 241) იოსებ სულხანოვისაგან ღვინო 10 ბოთლი.

(შემდეგი იქნება).

## ანგარიში

ორთაჭალის რაიონის ფრონტზე მყოფ გვარდიელების ოჯახების დამხმარე კომისიის მიერ შეგროვილ შემოწირულების და ამავე მიზნით 26 დეკ. 1920 წ. გამართულ საღამოისა.

შემოსავალი: შემოწირულება ფულით 1023,150 მან, საღამოს შემოსავლიდან 214,609 მ სულ 1237 759 მ.

გასავალი: 25 420 მანეთი. დარჩა წმინდა შემოსავალი 1,212,239 მანეთი. ამ თანხიდან ფრონტზე საახალწლო ოთხაჩუქრების გასაგზავნათ დაიხარჯა 153,705 მან. 22,000 მ. მიეცა ერთდროულ დახმარების სახით ჯარისკაცის პირობებში მყოფ 22 გვარდიელს. 36 534 მ რჩება რაიონულ შტაბის პრეზიდიუმის განკარგულებაში გვარდიელებზე სახლად მისაცემად აუცილებელ შემთხვევებში. 1,000 000 მან. მოხმარდება სხვადასხვა პირველ საჭიროების სანოვაგის შესაძენად და გვარდიელების ოჯახებზე იაფ ფასებში დასარიგებლად. ეს აზრი დადასტურებულ იქნა ფრონტზე მყოფ გვარდიელების საზოგადო კრების მიერ. კომისია ულრმეს მადლობას უცხადებს იმ მოქალაქეთ, რომლებმაც თავისი წვლილი არ დაიშურეს ასეთ დიდ საქმისათვის.

კომისიის წევრები: მ. ნაკაიძე, გ. პირველი, მ. ტერელაძე.

რედაქტორი ლევან წოთაძე.

## განცხადებანი


**სპეციალისტი მასწავლებლები**

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს.

(3108—1—1)

ექიმი
**რეზო მაჩაბელი**

კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—12 ს. დილ და 6—8 ს. საღ. ქალებს 12—1 ს დილის. 5—6 საღ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 22—თებ.

**სამკურნალო**
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
**მიხეილ ჭედევანიშვილის**
დილით 1—2 საათ., საღ. 6—7 საათ. [illegible] ტელეფ. 7—91 (1 მარტ)

ბათუმი
**ექიმი**

ალ. ალ. ძე თუმანიშვილი.

დაბრუნდა ძველ ბინაზე (სვიატოპოლკ-მირსკი ქ. № 31) და შეუდგა შინაგან და ნერვებით ავათმყოფების მიღებას.

(11—მარტ.

ექიმი
ანდრია მილხელის ძე
**ლევენშტეინი**

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.

22—თებ.

ექიმი **მ. ა. [illegible]**

სპეციალურად სიფილისი და შარდის დები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების [illegible] დილით 8—11 და [illegible]

(13 თებ.)

**კერძო სამკურნალო**

სპეციალურად ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმ

**ე. მ. მქინარიშვილისა**

შეშხაპუნება „606" და „914". ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—1 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (11 თებ.)

**ქ. გ. ზარიანოვი**

სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. ხუ[illegible] ქ. № 9, ვეგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის საავადმყოფოს პირდაპირ. ღარიბები უფასოთ. (29—თებ.)

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
**ხორავა**

იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა. ბინ. № 20 (22 თებ.

ქირურგიული და ქალთა სნეულებათ
**საავათმყოფო**
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
**გოკიელისა**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროექტორ „აპოლოს" მახლობლად ტელეფ. № 5—97 დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—თებ.)

კბილის ექიმი
**მ. ტ. ლორის-მელიქოვი**
**ჯიბლაძისა**

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—6[illegible]

ექიმი
**ს. ა. არუთინოვი**

სპეციალურად სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნერვული (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით (პარალელურად). მიღება დილით 10 12 ნახ. ს. საღ. 5 7 საათამდე. 16—თებერ.

ექიმი
**ვ. ი. ქავლაძე**

ღებულობს შინაგანი ავათმყოფებს დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის საათ 4 6 საათ. საღამ. უქმე დღეებში მარტო დილაობით გუდაის ქ. № 6, [illegible] ზემელის აფთიაქთან [illegible] ტელეფონი 18—95. (7 მარტ

**ტფილისის მომხმარებელი საზოგადოება „ცხოვრება"**,

ამით აცხადებს იმ წევრთა საყურადღებოთ, რომლებსაც დღემდის არ გადუხდიათ საპაიო თანხა ათასი მანეთამდე, თანახმად ამ წლიური კრების დადგენილებისა, ვალდებულნი არიან, ორი თვის განმავლობაში ე. ი. მარტის დამლევამდე შეასრულონ საპაიო თანხა ათას მანეთად ან გაიტანონ თავიანთი ხვედრი საპაიო ფული; წინააღმდეგ შემთხვევაში საპაიო ფული გადარიცხული იქნება კოოპერატივის ძირითად თანხაში.

გამგეობა.

(548 -1—1)

**სამხედრო სამინისტროს სამხეთ განყ.**

ტეხნიკური სექცია ამით აცხადებს, რომ 22 ამა წლის თებერვლის დილის 12 საათზე დანიშნულია შეჯიბრება ნავთის სანათურების საყიდლათ შემდეგი ზომებისა:

1) უბრალო ქიტის ლამფები მინებით № 11 სულ 500 ცალი.
2) უბრალო ჩამოსაკიდი ლამფები № 20 სულ 100 ცალი.
3) უბრალო მაგიდაზე დასადგმელი მინებით № 8 სულ 100 ცალი და
4) ფარნები ნიმუში „ლამურა" სულ 200 ცალი.

ვისაც სურს ვაჭრობაში მიიღოს მონაწილეობა შეუძლია გადასინჯოს ნიმუშები ალნიშნულ სანათურებისა ტეხნიკურ სექციის მატერიალური საწყობში მდებარე ბროსეს ქუჩაზე № 10, 9—3 საათამდე ყოველ დღე.

საქმის მწარმოებელი გელაძე

(556—3—1)

**გორის სამაზრო ერობის გამგეობა**

ა. წ. თებერვლის 15-დან ქ სურამში, სამასწავლებლო სემინარიასთან ხსნის მასწავლებელთა მოსამზადებელ

**ოთხთვიან პედაგოგიურ კურსებს.**

მსმენელად მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდანი, რომელთაც მიუღიათ განათლება არა ნაკლებ უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის ანუ პროგიმნაზიის ოთხი კლასისა. მსმენელთ მიეცემათ ბინა, საწოლი და ერთი ფუთი ხორბალი თვეში. მსურველნი 15 თებერვლამდის უნდა ჩაეწერონ სემინარიის დირექტორთან ქ. სურამში.

(529—3—3)

გამგეობა.